# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 9 თებერვალი 1998 №18 (553) ფასი 40 თეთრი





კობა ინასარიძე

ლა ვალეტადან


## საქართველო 3:0 ალბანეთი

## ესენი ვინ ყოფილანო?!

### მალტის ტურნირზე ქართველთა პირველობა გუნთაძემ გადაავადა

მეოთხე დღეა მალტაზე ვარ და აქაურობისა მაინც ვერაფერი გავიგე. გაგიღიმებენ, ო კეი-ს გეტყვიან, მაგრამ გუნებაში რას ფიქრობენ, ღმერთმა უწყის. ლატვიასთან მატჩის შემდეგ ფაქსი დამჭირდა. ერთ-ერთი აქაური ფეხბურთის ფედერაციის მუშაკი მოვიხელთე, ფაქსი მიმაწვლეთ-მეთქი. არ არისო. ტელეფონი? არც ტელეფონიაო. ქართველი ჟურნალისტი გახლავართ, ეგებ როგორმე დამეხმაროთ-მეთქი. ახლავე მოგიგვარებ პრობლემასო,



ალბანელთა განადგურება ქეცბაიამ დაიწყო

მიპასუხა და სადღაც გაქრა. როგორც თქვენ ნახეთ ის ულვაშა, ისე მე, მისი ლანდიც არსად ჩანდა. სხვაც შევაწუხე, მაგრამ სტადიონზე კავშირგაბმულობის არანაირი საშუალება არ აღმოჩნდა. მოკლედ, დიდი დავი-დარაბის შედეგად თუ მიაღწევ კაცი რამეს, თორემ ერთი თქმით არავინ არაფრის გამკეთებელია. არც თვითონ პრეს-ლოჟაშია საუცხოო პირობები. კი ბატონო, შემადგენლობები დროულად მოაქვთ, მინი-ბარიც აქვეა, უფასოდ რომ გვემსახურება, მაგრამ ამ დალოცვილი ლოჟის მდებარეობა ისეთია, ქალაქში თუ 20 გრადუსამდე სითბოა, აქ ძვალსა და რბილში გამტანი ქარი უბერავს. ფურცლებიც იფანტება და მუშაობა თითქმის შეუძლებელია. ამინდზე ჩამოვარდა სიტყვა. იცოცხლეთ, მალტაზე სიცივის პრობლემა, მგონი, მხოლოდ ჩვენს ადგილებზეა. სხვაგან საკმაოდ ცხელა, უბრალო პიჯაკის მოსხმაც კი ზედმეტია. გათბობას აქ არ იყენებენ, ან კი რად უნდათ, გაგანია ზამთარში ტემპერატურა 20 გრადუსია. თბილისში კი უშუქობამ და უგაზობამ ლამის ნახევარი შეიწიროს. მგონი, ნამეტანი მომდის. ამ სტრიქონების მკითხველთათვის ნაღდად უსიამოვნო იქნება მალტურ კლიმატზე და ცხოვრების დონეზე საუბრის გაგრძელება, ამიტომაც ჩემი აქ ყოფნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე მოგახსენებთ, საქართველო — ალბანეთის მატჩზე.

ლატვიასთან მატჩის შემდეგ გუცაევმა შემადგენლობაც შეცვალა და სათამაშო სქემაც. ცოტა ფეხბურთელებსაც შეუფუცხუნა, ალბათ ამიტომაც ალბანელებთან იმ ჟინით ითამაშეს, ბალტიისპირელებთან რომ აკლდათ და გუცაევისგან მოსალოდნელია. ფაქტობრივად, მთელი პირველი ტაიმი ჩვენების უპირატესობით წარიმართა. ნემსაძე კვლავ შეუდარებელი იყო, დაცვაც გონივრულად თამაშობდა, დაზღვევაზეც და პერსონალური მეურვეობისას ფლანგებზე ქეცბაიამ ჯამარაულთან ერთად მეტოქეს თავბედი აწყევლინა. საყრდენად შეყილაძეც საიმედოდ თამაშობდა, თავდასხმა კი ყველაზე უკეთ ირჯებოდა — ყაველაშვილ-იაშვილის დუეტი ლატვიასთან თამაშის შემდეგ ჰოლანდიაში გამგზავრებულ ტყუპ არველაძეებზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდა.

შესვენებამდე შექმნილი დაახლოებით რვა რეალური მომენტიც ამათი დამსახურებაა, თუმცა ყველაფერი მაინც კოლექტიური თამაშის ფონზე მოხდა. თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე კუნძულზე გიორგი ქინქლაძეც ჩამოვიდა, რომელსაც გუცაევმა სათადარიგოთა შორის მიუჩინა ადგილი. რაკი გამთამაშებლობამ ნემსაძეს უწია, საყრდენად შეყილაძე გაამწესეს. არ ვიცი, ძოძუაშვილმა ათამაშა ლატვიელები, ისე, რომ ჩვენები ცოტა დაბნეულად გამოიყურებოდნენ, თუ შეუთამაშებლობის ბრალი იყო, ფაქტია, ალბანელებთან სხვა საქართველოს ნაკრები, წინანდელთან გაცილებით უკეთ მოთამაშე გუნდი ვიხილეგვარამაძეს, ფაქტობრივად, სამუშაო არც ჰქონია, მისი კოლეგა კი დაიტანჯა. ჩვენები ისე უტევდნენ, სამი გოლი რაა, ალბანელთა კარი უნდა ამოევსოთ. თუმცა, სამზე ერთით მეტი მაინც შეაგდეს, მაშინ, როცა იაშვილმა ჩაწოლებული მკერდით ჩამოიღო და მოხდენილი გოლი შეაგდო, მსაჯმა ხელით ითამაშეო, ჯარიმა დანიშნა. ოდნავ ადრე კი ყაველაშვილმა სასწაულით ვერ გაიტანა — რუდი ვატამ შეუშალა ხელი. ეგ იყო, საქართველოს ნაკრები მთელ მოედანზე ბატონობდა, ყველაფერს აკონტროლებდა. ერთადერთი, პეგოს გაუცუდდა რეალური მომენტი. სხვა მხრივ ალბანელებს არაფრით გამოუჩენიათ თავი. ქართველებმა ყველა კომპონენტში პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე.

ბალკანელთა განადგურება მე-20 წუთზე ქეცბაიამ დაიწყო. მან მარცხენა კუთხურის ალმიდან მეტრის მოშორებით დანიშნული ჯარიმა პირდაპირ შორეულ ცხრიანში ულამაზესი დარტყმით ჩაახვია. ალბანელები დაიბნენ, სხვა არც იყო მოსალოდნელი, რისი საშუალებაც ქართველებმა მისცეს, ისე ითამაშეს. 9 წუთში კვლავ ლამაზი გოლი იხილა „ტა ქალიზე" შეკრებილმა მაყურებელმა. ამჯერად უკვე იაშვილმა დატოვა მარცხენა ფლანგზე შულკუ პირში ჩალაგამოვლებული. იაშკამ თავზე გადაუგდო მცველს ბურთი და ყაველამაც შემოტრიალებით, შეუჩერებლივ დაჰკრა, რითაც მცველებით და ანგარიშით უკმაყოფილო მეკარეს ხელები ამაოდ გააშლევინა. პირველი ტაიმი ასე მორჩა, თუმცა აქაურმა გულშემატკივარმა რამდენჯერმე ტაშით დააჯილდოვა ჩვენებურები ლამაზი, მოხდენილი კომბინაციისთვის. ეს აპლოდისმენტები ისეთი სასიამოვნო რამ გახლდათ, პირადად, ერთ უაზრო გოლს რომ მერჩივნა.


იხილეთ მესამე გვერდი


| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მალტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |




ელგუჯა ბერიშვილი

ნაგანოდან


იაპონელები, როცა საქმე მოითხოვს, ოქრომჭედლის სიზუსტით ითვლიან ყველაფერს. აბა, ეს როგორ გამორჩებოდათ: ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე სტადიონის ოვალის შემოსავლელად თითოეულ დელეგაციას, არც მეტი, არც ნაკლები, 521 ნაბიჯი „გამოუყვეს". გაივლი ამ მანძილს და არხეინად იყავი — სპორტის ისტორიიდან ვერავინ ამოგშლის. მით უმეტეს, თუ შენი ქვეყნის დროშით ხელში თვისტომთ მიუძღოდი და ამ დროს, „სულ რაღაც" სამი მილიარდი ადამიანი შემოგქცეროდა. სოფიკო ახმეტელს, მართალია, ნაგანოში ჯერ არ უასპარეზია, მაგრამ ამ გვარ-სახელს გვერდს ვერ აუვლის ჩვენი სპორტის მეისტორიე.

არა მარტო სოფიკოსთვის, მთელი ქართული დელეგაციისთვის, ჯერჯერობით, სწორედ ოლიმპიადის გახსნის დღე რჩება ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად. ამ ორ დღეში სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: ოლიმპიური მისიის შეფს და მის თანაშემწეებს თათბირიდან თათბირზე უწევთ სიარული, სეოკის თავკაცობა საქმიან შეხვედრებს მართავს, სპორტსმენები კი ვარჯიშობენ და ემზადებიან. საგრძნობლად გამოკეთდა ზურაბ ჯიჯიშვილი, რომლის ოლიმპიადაში მონაწილეობა, მაღალი სიცხის გამო, როგორც ადრე გაუწყეთ, სათუო იყო. ექიმებს და ჩვენი დელეგაციის უფროსობას რომ არ



იაპონელმა მიდორი იტომ ოლიმპიური ცეცხლი ააგიზგიზა

## არიგატო, ნიპონ, არიგატო, ნაგანო!

## ჯერ ჯიჯიშვილის ჯერია



იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო და იმპერატრიცა მიჩიკო აღლუმს თვალს ადევნებენ

ეყოჩაღათ, ისედაც თითებზე ჩამოსათვლელ ოლიმპიელებს ერთი კაცი მოაკლდებოდათ. საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ და მოთხილამურეთა უფროსმა მწვრთნელმა გერა აბრამიშვილმა ვიდრე FIS-ის პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და ტექნიკური კომისარი არ დაიყოლიეს, ოფისიდან ოფისში ირბინეს. წესით, რაკი საკონტროლო სტარტი გამოტოვა, ზურაბი არა მარტო სწრაფდაშვებას, მთლიანად ოლიმპიადას უნდა დამშვიდობებოდა, მაგრამ წესი, წესისამებრ, გამონაკლისსაც ითვალისწინებს. ამჯერად გამონაკლისი ჯიჯიშვილისთვის გაკეთდა. 7 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში, მან სწრაფდაშვების ტრასა „გახინჯა" და როცა ჰაკუბადან (მთის სახელია) ოლიმპიურ სოფელში მობრუნდნენ, სპორტსმენიც და მწვრთნელიც კმაყოფილნი ჩანდნენ: „ტრასა საკმაოდ რთულია, მაგრამ სრიალი შეიძლება".

მეორე დღეს, 8 თებერვალს, საქმეში უკვე უამინდობა ჩაერია: დიდთოვლობის გამო სამთომოთხილამურეთა ოლიმპიური პროგრამის პირველი სახეობა — დაშვება ჩაიშალა და ორგანიზატორებმა მორიგ სახელდახელო თათბირზე უხმეს გუნდების წარმომადგენლებს. გადაწყდა, რომ დაშვება მოგვიანებით (როცა ამინდი გამოკეთდება და ტრასა გაიწმინდება) გაიმართება, 9 თებერვალს კი კომბინაციაში მონაწილენი შეჯიბრებას სლალომით (და არა დაშვებით) დაიწყებენ. ჯიჯიშვილი, მოგეხსენებათ, სწორედ ამ სახეობაში გამოდის, ასე რომ, დღეს პირველი ოფიციალური სტარტი აქვს. გასაგებ მიზეზთა გამო მისგან მაღალ ადგილს არავინ ელის, მთავარია, შესაძლებლობანი სრულად გამოავლინოს და მაქსიმალური შედეგი აჩვენოს. იგივე უნდა ითქვას კახა წაქაძეზეც. მან გუშინ პირველად მოსინჯა ნაგანოს ოლიმპიური 90-მეტრიანი ტრამპლინი და შეჯიბრებამდე ანუ 11 თებერვლამდე კიდევ ორჯერ ესტუმრება ჰაკუბას. როგორც ამბობენ, მფრინავ მოთხილამურეებს დიდთოვლობა ხელს ვერ შეუშლის. ყოველ შემთხვევაში, აქაური სინოპტიკოსები ამ ჭკუაზე არიან.

აქამდე მათი ყველა პროგნოზი გამართლდა. მაგალითად, თავს დებდნენ, ოლიმპიადის გახსნის დღე დარიანი იქნებაო და ასეც იყო, აი, ორგანიზატორებმა კი სიტყვა გატეხეს: გრანდიოზულ სანახაობას გვპირდებოდნენ, მაგრამ ცერემონიალი (თუნდაც ლილეჰამერისას რომ შევადაროთ) მთლად გრანდიოზული ვერ გამოდგა და ამის თაობაზე „უცერემონიოდ" ლაპარაკობდა ნაგანოს ოლიმპიური პარკიდან მობრუნებული ხალხი.

როგორც ჩანს, სასწაულების ქვეყნისგან ამჯერადაც სასწაულს ელოდნენ, თუმცა სტუმარს, წესია, წუწუნი არ ეგების, ამიტომ ისევ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის სიტყვებს მივდიოთ, რომელიც იაპონურად მიემადლიერა მასპინძელთ: „არიგატო, ნიპონ, არიგატო, ნაგანო!"



იოკოძუნა აკებონო ავ სულებს აფრთხობს

# იტირებდა, აბა არააა!

**ბარის თხილამურობა**

რუსი ბაბების ამტანობა, სიჩაუქე და გულჩვილობა მთელმა დუნიამ უწყის.

გრიპი ჭირს ბობოლა ელენა ვიალბეს და 15 კილომეტრიც კლასიკურად მეორე ათეულშიღა ჩაამთავრა. მეორე საშუალედო ფინიშთან ლარისა ლაზუტინას აღმოაჩნდა საუკეთესო შედეგი, ოლგა დანილოვა კი ბოლო საშუალედო ფინიშთანღა გამოჩნდა სამეულში.

გაიმარჯვა 27 წლის დანილოვამ, ვინაც მიმდინარე მსოფლიო თასზე მერვე ადგილზეა. ქალი ოლიმპიური ჩემპიონი რომ შეიქნა, ატირდა. მიზეზი მალე გაირკვა: ოლგას შინ თურმე ტყუპი თოთო ბავშვი დარჩენია და იაპონიას ასე წასულა საასპარეზოდ ანუ სამოვარზე.



ოლგა დანილოვა

# პირველად კი არ იშლება

**მთის თხილამურობა**

მთის თხილამურობა რომ მთის თხილამურობა ანუ ზამთრის თამაშების უპრესტიჟულესი სპორტია, დიდი ფიცი-მტკიცი არ ჭირდება, ხოლო ვაჟთა დაშვება და სლალომი ამ სახეობის თვალმარგალიტები რომ არიან, ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ ოლიმპიადას დაშვება ხსნის, ხოლო სლალომი ხურავს.

თხილამურობის მამებს ნაგანოშიც ასე ქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. გუშინწინ, თამაშების გახსნის დღეს ვაჟმა ჩქაროსნებმა ასპარეზი ორ-ორჯერ დააჭაშნიკეს, კვირას კი ამ სეზონში ეს უკვე მერამდენედ ვარსკვლავთ-კრებულს ბუნებამ მწარედ დასცინა. ზედ სტარტის წინ ჰაკუბაში ისეთი თოვა დაიწყო, რომ კარამაცუს მთაზე კაცი ახლო-მახლო ხეირიანად ვერც კი გაარჩევდა რასმე.

დაშვება ათმა მასპინძელმა მეკვლემ მოახერხა, რამდენიმე კიდეც დაეცა, თუმც საყოველთაო აზრით ტრასა აქ არაფერ შუაში იყო. ის იყო, ორგანიზატორებმა შეჯიბრის გადადება გამოაცხადეს, რომ მზემ გამოაჭყიტა, მაგრამ მერე უარესი თოვლი წამოვიდა.

პირში ჩალა გამოვლებული დარჩნენ ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, მისი თანამეცხედრე სოფია და თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მეუფე, ესპანელივე ხუან-ანტონიო სამარანჩი. მოიწყინეს რიგითმა მაყურებლებმაც, რომელთა ერთ ნაწილს ავსტრიელი „ჰერმინატორი“ ჰერმან მაიერის გასამხნევებლად ბაირაღი აეფრიალებინა, ზედ წითელი ღორი გამოესახა და წაეწერა, იღბლიანი ყოფილიყავ ჩვენო ბიჭოო.

ტელე-ჟურნალისტებიც მოცდნენ. პრიზიორების ნაცვლად ძველი დროის გრანდები — ავსტრიელები კარლ შრანცი და ფრანც კლამერი და ფრანგი ჟან-კლოდ კილი მოიკითხეს. უფრო ფხიანებმა ბებერი ბრიტი (ამისი მოთხილამურეობა სპორტული კურიოზია!), მეხუთე ოლიმპიადის მონაწილე გრემ ბელიც შეაწუხეს. ამან ჩაიცინა და გაიხსენა, თქვენ 1984 წელს, სარაევოში უნდა გენახათ; ისეთი ავდარი იყო, რომ ბიელასნიჩარის მთაზე სტარტს ერთი კვირა ველოდით და დროს ბანქოს თამაშსა და რესტორნებში ვკლავდითო.

ამასობაში თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (ABC) შვეიცარელი „გენსეკი“ ჯან-ფრანკო კასპერი ფრიად მუშაობაში ბრძანდებოდა. კაცმა მოიკითხა ამინდის გრძელვადიანი პროგნოზი და ასპარეზობის განრიგი საფუძვლიანად არი-დარია. თავგზა არ აგებნეთ: გუშინ გამცდარი დაშვება ბოლო მონაცემებით გაიმართება ოთხშაბათს; ამ დღეს წინასწარ დათქმული სლალომი, რომელიც ოდენ კომბინაციაში ითვლება, გაიმართება ორშაბათს, ორშაბათს დანიშნული კომბინაციისავე დაშვება კი სამშაბათს მოეწყობა. ამავე დღეს სუპერ-გიგანტში ერთმანეთს ქალები უნდა გაეჯიბრონ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა.

კასპერმა გადაწყვეტილება ფილოსოფიურად ახსნა. ასპარეზობის გასამართად 15 დღე რომ გვაქვს, დაშვება ამად დავგეგმეთ პირველიო. ახლა უახლოესი ორი-სამი დღის ამინდის ვარაუდი რომ შევგვიტყვია, მოქნილობა გვმართებს. ოლიმპიური დაშვება ყველა სხვაზე უმთავრესია და მაშინ უნდა გავმართოთ, როცა საამისოდ საუკეთესო პირობები იქნებაო.

შეჯიბრის გადადებით გაიხარა წინა ოლიმპიადის ჩემპიონმა, ამერიკელმა ტომი მოუმ, ზეობა ოდნავ გამიხანგრძლივესო. მერე მედიამ ისიც გამოჩხრიკა, რომ ოლიმპიური დაშვება საზოგადოდ უიღბლო დისციპლინა ყოფილა. იგი გადადებულა 1988 წლის კალგარის ოლიმპიადაზე და კიდევ ... შორეულ 1960 წელსაც. რაც შეეხება იაპონიას, მან 1993 წელს უმასპინძლა მსოფლიო პირველობას, მაგრამ სუპერ-გიგანტის გამართვა ეგრეც ვერ მოახერხა.

**ირაკლი ნინუა**

# დებიუტანტმა დაგლიჯა

**სნოუბორდი**

ასე თქვი, ისე თქვი და დებიუტანტმა სნოუბორდმა გვარიანად გაიხმაურა ნაგანოში, უფრო კი შიგაკოგენში, სადაც სნოუბორდის ისტორიაში პირველი ოლიმპიური მედლები გათამაშდა. სნოუბორდის გიგანტური სლალომი კანადელმა როს რებალიატიმ მოიგო და დიდადაც გაიხარა, მაგრამ შეჯიბრებით, უპირველესად, სნოუბორდმა მოიგო, რახან საერთაშორისო სახელი გაამართლა და ხალხში სიმპათია დათესა. სნოუბორდული სლალომის საცქერლად ტოკიოდანაც კი მოვიდა სტუდენტი ახალგაზრდობა.

თავისი უფროსი ძმის, თხილამურებისგან განსხვავებით, სნოუბორდი არ იკვეხნის ელეგანტური და სავალდებულოდ ცნობილი სამოსით. ის სახალხო, საკურორტო სახეობაა და ფართხუნა შარვლებითა და ოთხიოდ ზომით დიდი ქურთუკებით არის ცნობილი. სნოუბორდელებს დიდად არაფრად მიაჩნიათ სათხილამურო სამოსის სლიკინა ზედაპირიც, რაც სპორტსმენთა რწმენით, შემხვედრ ჰაერთან ურთიერთობას აადვილებს. აი, ავსტრიელი მარტინ ფრაინადემეციც გორილის, ბეწვიან კოსტუმში გამოცხადდა ტრასაზე და მეშვიდე ადგილი მაინც დაიჭირა. რის ხახუნის ძალა, რა ხახუნის ძალა. სნოუბორდელთა ლაპარაკი ქუჩურ-ჟიგანურია და არა ოქსფორდისა. და მაინც, ამათმა ჯიგრიანმა ქრიალმა მოხიბლა იაპონელები. სნოუბორდმა ადგილი დაიჭირა თეთრი მზის ქვეშ, თუმცაღა იმ დღეს შიგაში გვარიანი ნისლი ჩამოწოლილიყო.

დაბადებით კი ეს ახირებული თხილამურობა 1960 წელს დაიბადა ამერიკაში, როცა მავანმა მოთხილამურე დამსვენებლებმა თავიანთი თხილამურები შეატყუპეს და ერთმანეთს გადააბეს, ასე დაშვებას ერთგვარი მულამი ექნებაო. სადღეისოდ, სნოუბორდის ბორდი-დაფა ფიბერგლასისგან მზადდება და იმგვარი დახვეწილი ფორმა და ზურგი აქვს, რომ თოვლში ბულრაობის მოყვარულს საოცარი რამეებს განაცდევინებს.

რაც შეეხება თავად გამარჯვებულს, როს რებალიატის, მან პირველი თეთრი ოქრო მოუტანა კანადელებს და უახლოეს ხანში, ალბათ, სნოუბორდის მსოფლიო ელჩადაც იქცევა. გამარჯვებულმა თავისი მედალი ზვავებში დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა. რებალიატის მხოლოდ 0,02 წამით ჩამორჩა იტალიელი ტომას პრუჯერი, საზოგადოდ კი შეჯიბრმა დიდ ლაღობასა და სიმხიარულეში ჩაიარა. ყოველი მონაწილე ზეიმობდა და მაყურებელსაც აზეიმებდა. ეს ჯიგრიანი სახეობა ყოფილაო, აცხადებდნენ მადლიერი ქომაგები და ურთავდნენ, აქედან პირდაპირ მაღაზიებში მივდივართ ბორდის საყიდლადო.

ეს ყველაფერი კარგი და კანადელების პირველი ოქროც სასახელოა, მაგრამ ოლიმპიადის გახსნის წინა საღამოს კანადელთა ბანაკში ერთი ამბავი დატრიალდა. ამ თეთრი ქვეყნის გუნდის უფროსობამ საათიანი პრეზენტაცია გამა-





რთა ინგლისურ ენაზე. თუმცაღა, იმ სპორტსმენთა სრული უმრავლესობა, ვისგანაც კანადა მედლებს ელის, ფრანგი ყოფილა. მაგალითად, ფრისტაილის განთქმული ნაკრები მეტსახელად „კვებეკის საჰაერო ძალები“, ინგლისურად გამარჯობასაც ვერ იტყვის. მედროშეც, საზეიმო გახსნაზე, ფრანგი იყო — ჟან ლუკ ბრასარი. ის კი ინგლისურად წარადგინეს. ორენოვანი კანადის გაზეთებმა ეს ამბავი დიდად გაბერეს და მინისტრთა კაბინეტამდეც კი მიიტანეს. თანაც, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ლოიდ ოქსუორსი იაპონიაში იმყოფებოდა სახელმწიფო საქმეზე.

კანადელ ბობსლეისტთა გუნდის კაპიტანი ჯეფ ჰაგილი პრეზენტაციაზე არ ყოფილა, მაგრამ ხმაურიც არ გაჰკვირვებია. ეს წმინდად კანადური ამბავია და თქვენ ვერ გაიგებთო, უთქვამს ჟურნალისტებისთვის.

**ზურაბ ძალატოზიშვილი**

# კაუჩუკის რეკორდი

**ციგურაობა**

თამაშებზე პირველი მსოფლიო რეკორდი ციგურაობაში დამყარდა. ჰოლანდიელ სწავლულებს კაუჩუკის აეროდინამიკური კოსტიუმები დაუმზადებინებიათ და თავისი ბიჭები და მეზობელი ბელგიელიც მისით შეუმოსავთ. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ სამივე პრიზიორმა ძველ რეკორდს გვარიანად აჯობა.

ჩემპიონი 24 წლის რომე გახდა. მან აღიარა, ცხოვრებაში ასე ჩქარა არასოდეს მირბენიაო. ჭეშმარიტად: სპორტსმენს ორი თვის წინ დაემყარებინა მსოფლიო რეკორდი, ახლა კი მას ერთბაშად 8 წამი (!) ჩამოაკლო.

**კვარცხლბეკი**

**ბარის თხილამურობა**

ქალები. 15 კმ კლასიკური სტილით

1. ოლგა დანილოვა (რუსეთი) 46 წთ. 55,4 წმ
2. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 47.01,0
3. ანტია მოენ-გუიდონი (ნორვეგია) 47.52,6

**სნოუბორდი**

ვაჟები. სლალომი

1. როს რებალიატი (კანადა) 2.03,96 (I ცდა 59,87; II ცდა 1.04,09)
2. თომას პრუგერი (იტალია) 2.03,98 (59,38; 1.04,60)
3. უელი კესტენჰოლცი (შვეიცარია) 2.04,08 (1.00,20; 1.03,88)

**ციგურაობა**

ვაჟები. 5000 მ

1. გიანი რომე (ჰოლანდია) 6.22,20 (მსოფლიო რეკორდი)
2. რინციე რიტსმა (ჰოლანდია) 6.28,24
3. ბარტ ველდკამპი (ბელგია) 6.28,31

# იაპონელი ჰოკეის გამო არ ჩხუბობს

მოგეხსენებათ, იაპონელები წესრიგიანი და მშვიდი ხალხია და როგორც ჩანს, ისეთ სხარტ და ძალისმიერ თამაშს, როგორიც ჰოკეია, ისინი ვერასდროს იგუებენ. გერმანიისა და იაპონიის გუნდების შეხვედრისას დუსემ მასპინძელ ფუჯიტას სახეში რამდენჯერმე მუშტი უთავაზა, მაგრამ იაპონია ნჰლ როდია და ფუჯიტამ, ხურდის დაბრუნების ნაცვლად, სათადარიგოთა სკამს მიაშურა. სამაგიეროდ, ჭხიელებმა რიცხვმრავლობა მიიღეს.

**ჰოკეი**

ჰოკეისტებმა წინასწარი ეტაპი დაიწყეს. ორ ჯგუფად დაყოფილ რვა გუნდს შორის გაირკვევა ორი უძლიერესი, „დიდ ექვსეულს“ რომ შეებრძოლებიან. გათამაშების პირველი დღე მეტად მოულოდნელი შედეგებით დასრულდა.

**A ჯგუფი**

7 თებერვალი

**იტალია 3:5 ყაზახეთი**

(3:1, 0:1, 0:3)

**შაიბები:** ტრეგუბოვი (0:1), ძარილო (1:1), ფელიჩეტი (2:1), ძარილო (3:1), ბოროდულინი (3:1), დუდარევი (3:3), ბოროდულინი (3:4), კამენცევი (3:5).

ოლიმპიადის პირველსავე შეხვედრაში ნამდვილი სენსაცია მოხდა. დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების დებიუტანტმა ყაზახებმა დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს გამოცდილ იტალიელებს, რომელთაც მატჩის დასაწყისში თითქოსდა არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ და ძარილო — ორლანდოს წამყვანი დუეტის ძალისხმევით დაწინაურდნენ კიდეც. მერე კი ყველაფერი შეიცვალა: აზიელები, რომელთა შემადგენლობაში ძირითადად რუსეთის მოწინავე გუნდებსა და ჩრდილო ამერიკის ქვედა ლიგებში მოასპარეზე ჰოკეისტები თამაშობენ, თანდათან დამშვიდდნენ და მეტოქეს ინიციატივა წაართვეს. ჯერ იყო და, გამოცდილმა ბოროდულინმა დააწინაურა თავისიანები, ორი წუთის შემდეგ კი მატჩის საუკეთესო მოთამაშე, დუდარევმა და კამენცევმა უმცირესობაში ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს და ოლიმპიადის პირველი სიურპრიზი შემოგვთავაზეს.

**ავსტრია 2:2 სლოვაკეთი**

(1:0, 1:2, 0:0)

**შაიბები:** ლავუა (1:0), პერტჰალერი (2:0), ციგერი (2:1), პეტროვიცკი (2:2)

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ფავორიტი, სლოვაკეთის ნაკრები ჯერჯერობით თავისი რვა ნჰლ-ელის გარეშე ასპარეზობს, იგი აშკარად სჯობდა მეტოქეს, რაზეც დარტყმებში ორმაგი უპირატესობაც მეტყველებს. და მაინც, სწორედ სლოვაკები უნდა უმადლოდნენ ბედს, რომ მატჩი ფრედ დასრულდა: თავიდან ავსტრიელებმა, რომელთა მიმართ ინტერესი ევროლიგაში „ფელდკირხის“ გამარჯვების შემდეგ გაიზარდა, მეტოქეთა ორი შეცდომა გამოიყენეს და ციგერის უმცირესობაში შეგდებული შაიბა რომ არა, საუცხოოდ მოთამაშე ავსტრიელი დალპიაცის კარის დალაშქვრა ერთობ გაუჭირდებოდათ.

8 თებერვალი

**სლოვაკეთი 4:3 იტალია**

**ავსტრია 5:5 ყაზახეთი**

პირველი ჯგუფის ორ-ორი თამაშის მერე სამ-სამი ქულა აქვთ ყაზახებს და სლოვაკებს, მაგრამ შაიბების უკეთესი სხვაობის გამო (+2) აზიელები ლიდერობენ. მესამე ადგილზეა ავსტრია, ბოლოზე კი — ორივე შეხვედრაში ძლეული იტალია.

ამ დღის პირველმა შეხვედრამ მშვიდად ჩაიარა, მაგრამ ავსტრია — ყაზახეთის მატჩის შემდეგ ვითარება მეტად დაიძაბა.

თამაში დამთავრდა თუ არა, ორივე გუნდის მწვრთნელებმა დაიჩივლეს, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია ძლიერ შეცდა, რუსი მსაჯი რომ დაგვინიშნაო. ავსტრიელებმაც და ყაზახებმაც განაცხადეს, ლეონიდ ვეისფელდის უფრო ნეიტრალური ქვეყნის მსაჯით შეცვლა წინა დღით მოვითხოვეთ, მაგრამ ფედერაციამ ყური არ გვათხოვაო.

— არ ვიცი, რუსი არბიტრი რატომ დაგვინიშნეს. ეს ჩვენთვის უსიამოვნო იყო. ამის თაობაზე ოფიციალურად წინა დღეს განვაცხადეთ, მაგრამ არავინ გამოგვეხმაურა — თქვა ავსტრიელთა მწვრთნელმა რონ კენედიმ, მისმა მეტოქემ, ბორის ალექსანდროვმა კი ვეისფელდი იმაში დაადანაშაულა, რომ იგი ავსტრიელებს უფრო იშვიათად აჯარიმებდა, ვიდრე ყაზახებს. მანვე დასძინა, მსაჯი სხვა ქვეყნიდან რომ ყოფილიყო, უკმაყოფილონი არ ვიქნებოდითო.

ავსტრიელთა მწვრთნელის გულისწყრომა მეორე პერიოდის ბოლო წამებზე მომხდარმა ამბავმა გამოიწვია — ავსტრიელები 4:2 იგებდნენ, კენედის თქმით კი, მსაჯმა სრულიად ჩვეულებრივი შეტევისას მათი მცველი ჰერბერტ ჰოჰენბერგი ტყუილად დააჯარიმა, რასაც ყაზახთა მესამე გოლი მოჰყვაო. ავსტრიელთა თავკაცმა ისიც განაცხადა, ვეისფელდი ჩვენს დარღვევებს უკლებლივ აფიქსირებდა, მეტოქის ყოველ უხეშობაზე კი თვალს ხუჭავდაო.

რაც შეეხება ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას, მისმა ტექნიკურმა დირექტორმა კიმო ლეინონემ განაცხადა, გუნდების პრეტენზია სრულიად უსაფუძვლოა, როცა შეხვედრისთვის მსაჯებს ვირჩევდით, სხდომას ოლიმპიადის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა და თუ რაიმემ არ დააკმაყოფილათ, მაშინვე უნდა ეთქვათო.

**B ჯგუფი**

7 თებერვალი

**გერმანია 3:1 იაპონია**

(0:0, 1:0, 2:1)

**შაიბები:** ჰეხტი (1:0), სუგისავა (1:1), კუნცე (2:1), ბენდა (3:1)

მაყურებლის მხარდაჭერა ცოტას როდი ნიშნავს და ოლიმპიადის მასპინძლებიც უბრძოლველად როდი დანებდნენ ძლიერ მეტოქეს. საკმარისია ითქვას, რომ ანგარიში მხოლოდ 38-ე წუთზე გაიხსნა, მანამდე კი თამაში სრულიად თანაბარი იყო, ის კი არა, ქომაგთა მიერ წაქეზებული იაპონელები ოდნავ უკეთაც გამოიყურებოდნენ. საბოლოოდ აზიელებს ძალამ უმტყუნა, თუმცა, ბენდამ მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მოჰფინა ყველაფერს ნათელი.

**ბელარუსი 4:0 საფრანგეთი**

(1:0, 1:0, 2:0)

**შაიბები:** კარაჩუნი (1:0), ბეკბულატოვი (2:0), კალიუჟნი (3:0), სკაბელკა (4:0)

მატჩის შედეგზე მოულოდნელი ის გახლდათ, რაოდენ იოლად სძლიეს ოლიმპიადის დებიუტანტებმა მათზე ბევრად გამოცდილ მეტოქეს. ბელარუსები მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ საბოლოო გარდატეხა შეხვედრაში მხოლოდ მეორე პერიოდის მიწურულს შეიტანეს. აღსანიშნავია: ყაზახთა დარად, ბელარუსთა შემადგენლობაში რუსეთსა და ჩრდილო ამერიკაში მოთამაშე ჰოკეისტებმა მოიყარეს თავი, ზოგიერთს კი თავის დროზე ყოფილი საბჭოთა ნაკრების მაისურიც სცმია.

**სამველ ლარიბიანი**

# საქმენი სადიაცონი

გუშინ ქალთა ჰოკეის ოლიმპიური დებიუტი იყო. თუმც სამივე თამაში მშრალი ანგარიშით დასრულდა, ნურვინ იტყვის, პირველი პური კუტი გამოცხვაო. გვჯერა, რომ მანდილოსნები, რომელთა თამაშში ძალისმიერი ილეთები აკრძალულია, კიდევ იტყვიან სათქმელს.

**კანადა — იაპონია 13:0, ფინეთი — შვედეთი 6:0, აშშ — ჩინეთი 5:0**

**ქვეყნების მონაგარი**

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 |
| კანადა | 1 | 0 | 0 |
| იტალია | 0 | 1 | 0 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |
| ნორვეგია | 0 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 1 |

დღეს კიდევ ხუთ სახეობაში გამოვლინდება ჩემპიონი: ვაჟი მოთხილამურეები 30 კილომეტრს კლასიკური სტილით გაირბენენ; მესნოუბორდე ქალები სლალომში გაეჯიბრებიან ერთმანეთს; მოციგურავე ვაჟები 500 მეტრზე იასპარეზებენ; ერთადგილათი მოციგავე ვაჟები ორჯერაც დაეშვებიან; ქალები ბიათლონში 15 კილომეტრზე გამართავენ შეჯიბრს.

ლა ვალეტა
„ტა ქალი"
8 თებერვალი

**საქართველო 3:0 ალბანეთი**

გვარამაძე
შელია
ჩიხრაძე კალაძე
სილაგაძე
შეყილაძე
ჯამარაული ნემსაძე ქეცბაია
ყაველაშვილი იაშვილი

რაკლი ტარე
ჰალილი პეგო ლალა
ბუში
ფაკაში
კოტრი ვატა
შულკუ
ბექაი

შეცვლები: ბუში — კოლა (46), პეგო — მურატი (60), ტარე — ბეიზადე (68), ჯამარაული — კიკნაძე (74), ბექაი — სტრაკოშა (74)

1:0 ქეცბაია (20), 2:0 ყაველაშვილი (29), 3:0 იაშვილი (72)

გაფრთხილება: იაშვილი, შელია

მსაჯი: ჩ. აგიუსი (მალტა)

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

მეორე ტაიმში საერთო სურათი არ შეცვლილა. ერთი გენახათ, თამაშამდე ცხვირაწეული ალბანელები რა დღეში იყვნენ, თითქმის ყველას ბურთის მიღებისას ფეხი უკანკალებდა, სად ურტყამდნენ, თავად აღარ იცოდნენ. წინა მატჩიდან ნაქები რაკლი კი სულ წასულიყო ხელიდან.

მართალია, ალბანელები მოძრაობდნენ, მაგრამ უტვინოდ. ასე კი ირბინე რამდენიც გინდა. სირბილს შედეგი თუ არ მოაქვს, სჯობს, არც გაისარჯო. ჩვენი მეტოქე კი, ეტყობა, ამასაც ვერ მიხვდა და თავიც შეირცხვინა. მესამედ უკვე იაშვილმა ჯამარაულის პასით ისე გაიტანა თავისი პირველი სანაკრებო გოლი, მაყურებელს რეაქციაც აღარ ჰქონია. ალბანელებზე ხელი ჩაიქნიეს, იფიქრეს, ესენი ვინ ყოფილანო. ჰაფაზი კი შეცვლებით ცდილობდა ხეირის ნახვას. მეკარეც გამოცვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არა, გუშინდელი თამაშით რაიმეს წინასწარ თქმა ნამდვილად შეუძლებელია. ეს ტურნირი ხომ ძირითადად მოსამზადებელია. თუმცა, ვეჭვობ, ალბანელებმა შესარჩევის დაწყებამდე გუნდის თამაში მნიშვნელოვნად შეცვალონ. და თუ ვერ შეცვლიან, თავშიც ქვა უხლიათ. სრულიად შესაძლებელია, ჩვენებმა ალბანელებთან ექვსი ქულა დაგეგმონ. ოღონდ, ამას გუშინდელთან შედარებით გაუმჯობესებული თამაში დასჭირდება, რისი რეზერვიც ნამდვილად არსებობს. სადაო როდია, რომ ეს შემადგენლობა ოპტიმალური არაა. ქინქლაძე — სკამზე, არველაძეები — ჰოლანდიაში, კობიაშვილი — კლინიკაში. ამას კანდიდატებიც რომ დავუმატოთ, იმის თქმის საფუძველი გვექნება, ალბანელებს ორჯერაც მოვუგებთო.

ამ მატჩზე ბევრი სათქმელ-დასაწერი მეტიც არაფერია. კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ნემსაძე იყო, რომელმაც ასე თუ გააგრძელა, მალე „გრასჰოპერი" მისთვის ძალიან დაბალი დონის გუნდი იქნება. იგი ყველგან იყო, წინაც, უკანაც, იბრძოდა, პასებს ანაწილებდა, კაპიტნის შესაფერად ამშვიდებდა თანაგუნდელებს. მოკლედ, ორივე თამაშში გუნდის ლიდერი გახლდათ. თუკი ნემსაძის ასეთი თამაში დიდად გასაკვირიც არაა, კალაძის ნახვა მოულოდნელი იყო. იმდენი პოზიციური თუ ტექნიკური შეცდომა, ორივე მატჩში მან რომ დაუშვა, ალბათ, მის მთელ კარიერას ეყოფოდა. ერთხელ პენალტი აიკიდა, რამდენჯერმე სულაც მეტოქეს ჩააბარა ბურთი, გუშინ კი მისი ფლანგი არაერთხელ მოექცა ალბანელების გავლენის ქვეშ. მატჩის შემდეგ ყველა აღნიშნავდა, გაუგებარია, ამ ბიჭს რა მოუვიდა, ეტყობა, ლობანოვსკის ხელი დაეტყოო. მე თუ მკითხავთ, კალაძე ჯერ ლიბეროობამ, მერე კი მარცხენა ფლანგელობამ დააბნია, იგი ხომ უფრო პერსონალურ მეურვედაა ძლიერი.

# ესენი ვინ ყოფილანო?!


მიხეილ ყაველაშვილი

ერთხელაც სილაგაძეზე ვთქვათ. იგი შელიასთან წყვილში საკმაოდ გონივრულად ირჯებოდა, ხშირად მურიკოს ადგილს უცვლიდა და თვითონ ლიბეროობდა. როგორც ჩანს, გაამართლა გუცაევის არჩევანმა, დაცვის ცენტრი ამ ორეულს რომ ჩააბარა. მათ ხომ პრაქტიკულად თამაშიდან გამოთიშეს რაკლი და გვარამაძის კარისკენ მიმავალი ყველა გზა საიმედოდ ჩაკეტეს. სილაგაძის კარგი თამაშით ყველა კმაყოფილი დარჩა, თავად კი ისე თავმდაბალია, საკუთარ თავზე ზედმეტ სიტყვასაც ვერ დააცდენინებ.

ლა ვალეტა
„ტა ქალი"
6 თებერვალი

**მალტა 2:1 ლატვია**

მალტა: მუსკატი, კამილერი (ლაფერლა 58), ჩეტკუტი, კარაბოტი (ნვოკო 76), სიქსმისი, ზაჰრა (სენ ფურნიე 69), ბუზუტილი (სულთანა 83), სალიბა, ტერნერი, ბრინკატი, სუდა (აგიუსი 32)
ლატვია: რ. ლაიზანსი, ზაკრეშევსკი, ი. რაიზანსი, ლობანოვი, ბლაგონადეჟდინი, ზეიბერლინში (რინკუსი 62), ლუკაშევიჩი, პოლიაკოვი (პახარი 57), სლესარჩუკი, ვოლოხანოვი (ბლეიდელისი 41), ბურლაკოვი (ვ. ასტაფიევი 17)
1:0 ბუზუტილი (56), 1:1 პახარი (68), 2:1 ბრინკატი (84)
გაფრთხილება: კარაბოტი, ბლაგონადეჟდინი
მსაჯი: ო. გუნთაძე (საქართველო)

**კობა ინასარიძე ლა ვალეტადან**

ასეა აქ, ერთი თამაში მთავრდება და ხუთწუთიანი შუალედიც არაა მეორის დაწყებამდე. ჩვენების მატჩის შემდეგ ქართველთა აზრი მაინტერესებდა, გასახდელამდე ხვეწნა-მუდარით ძლივს მივაღწიე. უეცრად ძოძუაშვილის ხმა მომესმა — ჰა, გინდათ პირველი ადგილი? მიდით, გუნთაძეს თხოვეთო, ჩვენი დელეგაციის წევრებს მიმართა. ჩვენებმა ამაზე მხოლოდ გაიღიმეს, ენახოთ, რა იქნებაო. გუნთაძემ ობიექტურად იმსაჯა, მიუხედავად მისი ქართველობისა, მიუკერძოებლად უსტვენდა ხოლმე. ასეთმა მსაჯობამ მასპინძლებს ძოაგებიხა და ზეგამდე გაურკვევლად დარჩა პირველობის ბედი. არადა, შანსი იყო, მაშინვე მოგვეგო ტურნირი, მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ბრინკატს ულამაზესი გოლით რომ არ ეხარა. ამან კი ნახევარ ლატვიის ნაკრებს ისე ჩამოუარა, არც გასჭირვებია. მანამდე ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ ხდებოდა. ლატვია მთელი გუნდით თავს იცავდა, მეტოქეს გოლის გატანის შანსი მოუსპო და სწრაფი კონტრშეტევების იმედად დარჩა. მთელი თამაში ასე მიმდინარეობდა: წარმოიდგინეთ, ცხრა კაცი საჯარიმოს ხაზთან განლაგდა. ერთი სლესარჩუკი დატოვეს წინ, რომელიც მარტო ვერას გახდა. აშკარაა, მიხიჩა რაღაცას მალავს. მატჩის შემდეგ ვკითხე კიდეც. რა ვქნა, ბევრი ფეხბურთელი მაკლია, ნაირ-ნაირ ტაქტიკურ სქემას ვამუშავებო, მომიგო. პირველი გოლი მასპინძელთა კაპიტანმა კარმელ ბუზუტილმა შეაგდო. ეს მას შემდეგ, რაც აგიუსმა შორეულ კუთხესთან ჩაუწოდა. შემდეგ პახარმაც ანალოგიურად გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. ბოლო გოლზე კი უკვე გითხარით. მეორე ტაიმს გუცაევთან ერთად ვადევნე თვალი. საქძარისადაც ვისაუბრეთ. ვცდილობდი, რაიმე ახალი ეთქვა, მაგრამ ნურას უკაცრავად, სულ ამას იმეორებდა, ჩვენ თანამედროვე ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, დღეს უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე მიხიჩას გუნდთან. თუმცა, ეს არ მაკმაყოფილებს, ხომ იცით, ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატზე თამაშია, ამას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, ქართველებს საამისოდ ყველაფერი გვაქვსო.

# გუნთაძეს თხოვეთო

ასეა, გუშინდელივით მონდომებით თუ ვითამაშეთ, მაშინ ევროპაზეც გავალთ, თუ არა და... მეტი რაღაა სათქმელი, ლატვიელებზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, თამაშით კი თამაშობენ, მაგრამ გამორიცხულია, ძოძუაშვილს ეს აკმაყოფილებდეს. ცხადია, ასე შეგნებულად იქცევა, რადგან როგორც ნაღდი პროფესიონალი, თავის სამუშაოს ასრულებს: ახლა მისი გუნდი ხომ ლატვიაა.

# ახალი თაობა ემზადება

ეროვნული ნაკრები მალტის ოთხთა ტურნირში მონაწილეობს. თითქოს მათ ჩამოსვლამდე ახალი არც არაფერი უნდა ხდებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე იყო, მაგრამ, ეტყობა, დროება მართლაც სწრაფად იცვლება. ამ კვირაში, თითქმის ყველა დანარჩენი ნაკრები შეკრებას იწყებს. ასეა, ზედმეტად დაიხარჯები, მეტს იშრომებ და შედეგიც არ დააყოვნებს. ფეხბურთის ფედერაციაც ამ აზრზე დამდგარა. მართალია, ცოტა ნაგვიანევად, მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

როცა ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარეს, გიგლა იმნაძემ დაიქადნა, გუცაევის შედეგის გაუმჯობესებას ვეცდებიო. ახალგაზრდული ნაკრები სასტუმრო „მესაზღვრეში" დაბინავდა და იქ ერთ კვირა დარჩება. ვარჯიშებს პირველი ჯგუფის გუნდებთან რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაც შეენაცვლება და ამით, იმნაძის თქმით, მწვრთნელ-ფეხბურთელთა გაცნობაც შედგება, და თითეული კანდიდატის შეფასების საშუალებაც მიეცემა.

იმნაძეს რამდენიმე დებიუტანტისთვის უხმია, დანარჩენები კი ისინი არიან, რომელთაც გუცაევისდროინდელ ახალგაზრდულ გუნდში მიუღიათ ნათლობა:

მეკარეები: რამაზ სოლოლაშვილი (ოდიში), ზურაბ თაბიაშვილი (თსუ); მცველები: ალექსანდრე გოგობერიშვილი, გიორგი დავითნიძე, ირაკლი გემეზაშვილი (დინამო), გიორგი ჭანკოტაძე (აკადემია); ნახევარმცველები: რატი ალექსიძე, გივი კვარაცხელია (დინამო), ლაშა მონასელიძე (ასკ), გიორგი რევაზიშვილი (ოდიში), ვალერი კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ვალერი ზირაქაძე (მეტალურგი), კახა ჩხეტიანი (ტორპედო), დათო ლოლაძე (მალაროელი); თავდამსხმელები: მიხეილ აშვეთია, დავით მუჯირი, კობა წიტაიშვილი (დინამო), გია მეგრელაძე (ტორპედო).

უსაქმოდ არც 18-წლამდელები არიან. მართალია, ვახტანგ კოპალეიშვილი და მისი შეგირდები ჯერ შეკრებაზე არ გადასულან, მაგრამ საკონტროლო მატჩებს ატარებენ. აღსანიშნავია, რომ კოპალეიშვილი ამჯერად მხოლოდ 1981 წელს დაბადებულ ფეხბურთელებთან მუშაობს. კოპალას გუნდი ორჯერ შეხვდა პირველჯგუფელ „მორკინალს". პირველი მატჩი 1:0 მოუგო, მეორე კი 1:2 დათმო. ფრედ, 1:1 დაამთავრა თამაში თსუ-სთან, ხოლო ლოკომოტივთან 1:2 წააგო. თებერვალში კოპალეიშვილი შეგირდების ბორჯომში წაყვანას და ორკვირიანი შეკრების მოწყობას აპირებს. ამის თაობაზე ჯერ დეტალებია დასაზუსტებელი და როცა ყველაფერი გადაწყდება, ნაკრების კანდიდატთა ვინაობასაც გაუწყებთ.

ოთარ შენგელიას და 16-წლამდელებს კი ხვალ და ზეგ პირველი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. განჯაში ჩვენებს აზერბაიჯანელი თანატოლები ელიან. მთავარ მწვრთნელს საქმეში გამოსაცდელად 25 ფეხბურთელი მიჰყავს. იქ ორ მატჩს გამართავენ. ამჟამად შენგელიას რჩეულები არიან:

მეკარეები: გია თარხნიშვილი, ბესარიონ კოდალაევი; მცველები: ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, გია ქერაშვილი, კახა სონიშვილი, ვასო გეგუჩაძე, გაგა გაბადაძე, ირაკლი გუდაძე, ზვიად ფირცხალაიშვილი, ნიკა ლაბაძე; ნახევარმცველები: ბექა ნოზაძე, ირაკლი ნემსაძე, გია ნორაკიძე, რამაზ ხარჩილავა, ზვიად ლაბაძე, ავთო ზებედაშვილი, ალეკო შენგელია, ირაკლი შენგელია; თავდამსხმელები: ლევან კვარაცხელია, ბექა ცაგარეიშვილი, ლევან ნიშნიანიძე, ლადო ახალაია, ლევან მელიქია, კახა ბერილიძე.

# ახალი ბურკინაფასოელები

**აფრიკის თასი '98**



მზიანი დღე, სიცხე, გადაჭედილი 4 აგვისტოს სახელობის ეროვნული სტადიონი და წმინდა აფრიკულ სტილში დადგმული გახსნის ცერემონიალი — აი, ყოველივე ის, რაც წინ უძღოდა აფრიკის თასის მესამე გათამაშების პირველ მატჩს მასპინძლებსა და კამერუნის ნაკრებს შორის.

სანამ უშუალოდ შეხვედრაზე გადავიდოდეთ, მატჩის წინა პერიოდზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

საკმაოდ უსახური ქალაქის უგადუგუს ასე თუ ისე ფეშენებელურმა ნაწილმა უკამ თითქმის სამი კვირა 16 ნაკრებს უნდა უმასპინძლოს, ეს კი ბურკინა ფასოს შეძლების ქვეყნისთვის ძლიერ ბევრია. საფრანგეთის ყოფილი კოლონია 1983 წლის 4 აგვისტოს რევოლუციის შემდეგაც, რომელსაც ბურკინაფასოელთა ღრმა რწმენით მათთვის დალხინებული ცხოვრება უნდა მოეტანა (დაახლოებით ისე, როგორც ჩვენთვის კომუნიზმს), ქვეყანა ვერ გახდა ისეთი, როგორზეც მისი თითოეული მოქალაქე ოცნებობდა, ოცნებობდა, მაგრამ საამისოდ ბევრს არაფერს აკეთებდა. ამიტომაცაა ბურკინა ფასო აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა. მიუხედავად ამისა შავი კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაციამ გაითვალისწინა ბურკინაფასოელთა სიყვარული ფეხბურთისადმი და აფრიკის უდიდესი საფეხბურთო ტურნირის მასპინძლობა სწორედ ამ პატარა ქვეყანას დააკისრა, თუმცა, არჩევანის დროს ბურკინა ფასოს სასარგებლოდ სხვა ასპექტებმაც დიდი როლი ითამაშა.

საერთოდ საერთაშორისო ტურნირის მასპინძლობას, თანაც გუნდურის და საკმაოდ წარმომადგენლობითის, ამ შემთხვევაში ფეხბურთის, დიდი მონდომება და სახსრები სჭირდება, ამასთანავე მარტო მასპინძელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ვერას გახდება, თუ მთავრობა არ დაეხმარა. ბურკინა ფასოს ფეხბურთის მამებს კი ეს თანადგომა არ აკლიათ. ეტყობა, ვერც ბურკინა ფასოშია ელექტროენერგიის საქმე მთლად კარგად. არავინ იცის, მეცხრე ბლოკი გამოვიდა მწყობრიდან, თუ მეათე, ფაქტი ერთია, რომ მთავრობამ ფეხბურთის ფედერაციას 40 გენერატორი გადასცა, ტურნირის მასპინძლობა-გაშუქებაში რაიმე პრობლემა არ შეგექმნათო, გარდა ამისა, 35-ათასიან „4 აგვისტოს" სახელობის ეროვნულ სტადიონსაც უსახსოვრა ერთი გენერატორი.

რაკი სტადიონის ტევადობა ვახსენე, იმასაც დავძენ, რომ შაბათს ტურნირის პირველ მატჩს ათჯერ მეტი, 45 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, რომლებიც თამაშამდე ერთი საათით ადრე შეიყარნენ გახსნის ცერემონიალის საქცერლად. სანახაობა კი ძირითადად მართლაც ეგზოტიკური იყო...

თავდაპირველად დამსწრე საზოგადოების წინაშე ფიფა-ს პრეზიდენტი, მხცოვანი ჟოაო ავალანჟი წარსდგა. მან ტკბილად გაიხსენა მისი პრეზიდენტობის ხანაში აფრიკელთა წინ გადადგმული ნაბიჯი, რამდენიმე ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაც მოიგონა, ბოლოს კი, როგორც დიპლომატებს სჩვევიათ, აფრიკის თასის ორგანიზატორებს, მასპინძლებსა და მონაწილეებს წარმატება უსურვა. შემდეგ სტადიონზე მონაწილე ქვეყნების ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ბურკინაფასოელი გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ და ჯგუფების შემადგენლობის მიხედვით კუთხურის ალმებთან განლაგდნენ. ამას ხალხური ცეკვები დაურთეს. სანახაობის შუაში ჩემპიონატის თილისმა „ფოფომ", რომელიც თურმე ფულანის ენაზე კეთილი იყოს თქვენი მობრძანებას ნიშნავს, სტადიონს ტრიალ-ტრიალითერთი წრე შემოუარა და სანამ თავბრუ არ დაესხა, მანამდე არ გაჩერდა. მერე ცხოველების ნიღაბს ამოფარებულმა ბავშვებმა, რომელთაც მონაწილეთა დროშები წაეკრათ ზურგზე, ღრიალით ერთმანეთის შეშინება დაიწყეს. გახსნის ცერემონიალის დასასრულს კი კოსტუმებში ჩაცმული „ახალი ბურკინაფასოელებიც" გამოჩნდნენ, მონაწილე გუნდების ალმებს რომ მოაფრიალებდნენ.

ამით გათამაშება გაიხსნა და მასპინძელთა და კამერუნის ნაკრებებიც გამოჩნდნენ.

**A ჯგუფი**

**ბურკინა ფასო 0:1 კამერუნი**

ბურკინა ფასო: დიარა, ს. ტრაორე, ტალე, დუმბია (ბარო 88), კუდუ (ა. ტრაორე 69), ზონგო, სანუ, ნანა, ბ. ტრაორე, კამბუ (უდრაოგო 68), ლიადე
კამერუნი: სონგო, მიმბო, კალა, სონგი, ობენი, ვომე, ფოე, ტჩუტანგი (ჟობი 79), ბილონგი, ჩამი, ოლიმბე (ავგუსტინი 58)
0:1 ჩამი (20)

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. ერთი ჩვეულებრივი ბურთაობა იყო სიცხისაგან თითქმის გაყვითლებულ მინდორზე, რომელსაც ეს სახელი პირობითად თუ ეთქმოდა. გულშემატკივრების მხარდაჭერით გაგიჟებულმა მასპინძლებმა საწყისი ათი-თხუთმეტი წუთი თავქუდმოგლეჯილ სირბილში გაატარეს, მერე კი მოსახდენი მოხდა და ალფონს ჩამიმ მარკ ვივიენ ფოეს ჩინებული მარცხენაფლანგური გარღვევა გოლით დაასრულა. ჯერ მხოლოდ მე-20 წუთი იყო, მაგრამ მიუხედავად დარჩენილ დროში შექმნილი 4-5 საგოლე მომენტისა, კამერუნელებმა ანგარიში ველარ შეცვალეს. რაც შეეხება მასპინძლებს, მათი ამბავი ჩამის გოლით დასრულდა.

ისე, ბურკინა ფასოს აფრიკის თასზე ჯერ შეხვედრა რაა, ის ვერ მოუგია.

**ალჟირი 0:1 გვინეა**

ალჟირი: ჰამენდი, მეფტი, ზაღდოუდი, ძირი, ოსმანე, საიბი, ღული (ბენზერგა 83), ჰარჩაჩე, კასისაიდი (მუსა 66), დალიბი (ბენამარა 83), ტასფუტი
გვინეა: დიალო, სილა, სოუ, მ. კამარა, ულარე (დიანემ 82), დრამე (სუმა 86), ბანგურა, სულა, დიუბატი (ფ. კამარა 82), ნგომი, ა. კამარა
0:1 ულარე (61)

გვინეა აფრიკის თასზე მეორედ მონაწილეობს. ამიტომაც მისი გამარჯვება მოულოდნელობათა კატეგორიას განეკუთვნებოდა. 61-ე წუთზე სულეიმან ულარე მეტოქეთა მცველებზე მაღლა აფრინდა და შეხვედრის ერთადერთი გოლი თაური დარტყმით გაიტანა. ამ მოგებამ გვინეა ქულათა რაოდენობით კამერუნს გაუტოლა.

ალჟირი, რომელსაც ინგლისური „ტოტენჰემის" მუსა საიდი ლიდერობდა მეტოქეზე უკეთ თამაშობდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო.

**C ჯგუფი**

**ს. აფრიკა 0:0 ანგოლა**

ს. აფრიკა: ბალუი, რაბუტლა, ნიატი, ჯექსონი, ფიში, მოშოუ, მკალელე, მასინგა, მოეტი, რადებე, მაკართი (ავგუსტინი 9)
ანგოლა: მარიტო, ბუდუნია, ელდერ ვინსენტე, ნეტო, პაულუ სილვა, პაულაუ (ლუიშ მიგელი 73), სოზა, ლიტო, აურელიო, კინზინიო (ელმერი 84), მიგელ პერეირა (აკვა 56)

აფრიკის თასის მფლობელთა პირველი მატჩით თუ ვიმსჯელებთ, „ბაფანა ბაფანას" ორი წლის წინანდელი მიღწევის გამეორება ძლიერ გაუჭირდებათ, რადგან მათ თამაში ფეხბურთის გარდა ყველაფერს ჰგავდა.

გუნდები ერთობ უხეშობდნენ — ანგოლელებმა ბუდუნიამ და ელდერ ვინსენტემ მალელ მსაჯს ყვითელი ბარათები დასტყუეს, მეტოქის აიაქსელი ბენი მაკართი კი არბიტრის რისხვას გადაურჩა — სოზასთან უხეშობის გამო თავადაც დაზარალდა, სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელმა კი რომ შეიტყო მსაჯი მაკართის გაძევებას აპირებსო, იგი უმალ შეცვალა, ცხადია.

მეორე ტაიმი პირველი ნახევრის დარად უშედეგო და ულამაზო გამოდგა, განსხვავება ის იყო, რომ პირველი 45 წუთისგან განსხვავებით, მსაჯმა ანგოლელი ბუდუნია და სამხრეთაფრიკელი ჯონ მოეტი გააძევა.

**კოტ დიუვარი 4:3 ნამიბია**

კოტ დიუვარი: გუამინი, დიომენდი, ხერე, დიაბატი, დომორო, ლასისი, გული, ევარისტი დიბო (კალუ 84), ოლივერ სიე, ბაკაიოკო, ტიეი (ბადრა ალუ 66)
ნამიბია: კანალილო, ტიერო, გოგოსები, ნაუსიბი (დე გუვია 46), გეირსიბი, მანეტი, უსიბი, უტონი, შინჯუ (გორასევი 46), ური ხობი, შივუტე
1:0 ტიეი (2), 2:0 ბაკაიოკო (34), 3:0 ტიეი (39), 3:1 შივუტე (46), 3:2 მანეტი (70), 3:3 შივუტე (73), 4:3 დიაბატი (83)

ამ ჯგუფის პირველ შეხვედრაში სამხრეთაფრიკელებმა და ანგოლელებმა უგოლო ფრე ითამაშეს, მაგრამ ამ მატჩში იმდენი გოლი გავიდა, ზემოხსენებულ შეხვედრასაც თავისუფლად ეყოფოდა. გასაოცარი იყო ნამიბიელთა შემართება, რომლებმაც 0:3-ის შემდეგ გაყაიმება შესძლეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ.

აღსანიშნავია, რომ კოტ დიუვარელთა მეკარე ალან გუამინი მეექვსე ფეხბურთელი გახდა, ვისაც აფრიკის თასის ექვს გათამაშებაში უასპარეზია.

ლაშა გოდუაძე

**EURO 2000**

**ჩვენი ჯგუფი**

საბერძნეთის ნაკრებს ქართველების წინააღმდეგ, ეტყობა, მაინც რუმინელი ანგელ იორდანესკუ დარაზმავს. მან განაცხადა, რომ წინასწარ კონტრაქტზე უკვე ხელი აქვს მოწერილი.

## წინასწარ მოგვარებული საქმე

იორდანესკუ რომელსაც თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ცოტა ხნის წინ კონფლიქტი მოუვიდა, შეუმოწმებელ ცნობათა თანახმად, ბერძნებს ორწლიან თანამშრომლობას 850 ათასი დოლარის საფასურად დაპირდა.

— ჩვენ ორწლიან წინასწარ კონტრაქტს მოვაწერეთ ხელი. ახლა ხელშეკრულების საბოლოო სახემდე მიყვანას რამდენიმე დღელა სჭირდება, ძალაში კი იგი 15 ივლისიდან შევა, — უთხრა მწვრთნელმა სააგენტო „როიტერის" კორესპონდენტს სატელეფონო საუბარში.

იორდანესკუს კონტრაქტის პირობებზე არაფერი უთქვამს. ბერძნული წყაროები ამტკიცებენ, რომ რუმინელ სპეციალისტს წელიწადში 270 ათასი დოლარი და პრემიალური 130 ათასი ექნება. პრემია, ბუნებრივია, მაშინ მიეცემა, თუ ელინთა ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ კონფლიქტს რუმინული ფეხბურთის თავკაცებთან, მისი საბაბი 19 თებერვალს დანიშნული არგენტინა — რუმინეთის ამხანაგური მატჩი გახლდათ. იორდანესკუ, რომელიც რუმინელებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ამზადებს, ბუენოს აირესში ერთი მატჩის გასამართავად წასვლის წინააღმდეგი იყო. თანაც, წამყვან ფეხბურთელთაგან ნაკრებში სათამაშოდ არავის სცალია, მეორე შემადგენლობით არგენტინაში ჩასვლა და წაგება კი იორდანესკუს თავმოყვარეობასაც ულახავს.

ამრიგად, რუმინელთა მწვრთნელს შინ უსიამოვნებები აქვს, ათენში კი ნათელ მომავალს ჰპირდებიან.

## გამოუცდელ ნორვეგიელთა მატჩი

კვიპროსში ექვსი გუნდის ტურნირზე საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ, ნორვეგიის ეროვნულმა გუნდმა მასპინძლებთან 0:2 წააგო. ახლა კვიპროსელები ოთხი ქულით ლიდერობენ A ჯგუფს და დღეს ჩვენს მეორე მოწინააღმდეგესთან, სლოვენიასთან აქვთ სათამაშო.

მატჩში სახიფათო მომენტები მეტად მწირი გახლდათ. პირველი მათგანი ნორვეგიელთა იყო, დანიელ ბერგ ჰესტადმა მეშვიდე წუთზე ბურთი ძელს გაარტყა. ძელს გაარტყა კვიპროსელმა მილენკო სპოლიარიჩმაც. ეს რვა წუთის მერე მოხდა, მას მერე, რაც სპოლიარიჩმა მეკარე მცდარი მიმართულებით გადაახტუნა. პირველი ტაიმის დამთავრების წინ მან მაინც მიაღწია დაბალი დარტყმით მიზანს, მეორე კი მე-60 წუთზე იანუს იოანუმ შეაგდო.

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიელებს კვიპროსზე გამოუცდელთაგან შედგენილი გუნდი ჰყავს წაყვანილი. მათ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

სკიელდესტადი (რონინგენი 84), ანდერსენი, პედერსენი, კიპე, ტრანი, ჰელსტადი (ჰეგემი 46), ფიორტოფტი (ჰაგენი 73), ბაკე, ჰესტადი (ნიანი 87), ნევლანდი, კარეუ (ჰარალდსენი 73).

## ბლატერი რაღაცას მალავს

ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა ხალხი კვლავ მკაფიო პასუხის გარეშე დასტოვა. ბურკინა ფასოში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ თუ რომელიმე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას პრეზიდენტის პოსტზე მის კანდიდატურას წარადგენს, მაშინ კენჭს იყრის, თუ არა და არა. დაგვეთანხმებით ბუნდოვანი ნათქვამია, რომლის კიდევ მეტად გასაბუნდოვანებლად ბლატერმა დასძინა, ჯერ ჩემი კანდიდატურა არავის წამოუყენებიაო.

გენერალური მდივანი ბურკინა ფასოში აფრიკის თასის შეხვედრათა სანახავადაა ჩასული.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც გადაწყვეტილი ჰქვს 82 წლის ბრაზილიელი ჟოაო ავილანჟის ადგილის დასაკავებლად იბრძოლოს და საამისოდ ოფიციალური განცხადებაც დაწერა, უეფას პრეზიდენტი, შვედი ლენარტ იუჰანსონია. მან განაცხადა:

— ბლატერს არ უთქვამს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატია, მაგრამ თუ წამოდგება და ბრძანებს: დიახ, მე პრეზიდენტობისთვის ვიბრძვი ან არა, მე პრეზიდენტობისთვის არ ვიბრძვი, დიდად მადლიერნი დავრჩებით.



რა უდევს გულში ბლატერს?

იუჰანსონმა პატივით მოიხსენია ბლატერის ხანგრძლივი მოღვაწეობა ფიფას გენერალური მდივნის პოსტზე, ოღონდ დასძინა, რომ სანამ თანამდებობაზეა, შვეიცარიელი არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

— თუ ფიფასთან ხელშეკრულება აქვს, პატივი უნდა სცეს მას. როგორც კი თავს პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენებს, თანამდებობიდან მყისვე უნდა გადადგეს.

კანდიდატურის წამოსაყენებლად ბოლო ვადა 7 აპრილია, არჩევნები კი 8 ივნისს, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე პარიზში გაიმართება.

ბურკინა ფასოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ბლატერმა, ავილანჟის გვერდზე რომ იჯდა, დაადასტურა, რომ დღეისათვის ერთადერთი ოფიციალური კანდიდატი ლენარტ იუჰანსონია.

ბლატერის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი როგორც ჩანს იუჰანსონის თანამებრძოლებს აღიზიანებთ. ერთ-ერთმა მათგანმა, უეფას ვიცე და იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ საჯაროდ გაკიცხა გენერალური მდივანი. მან თქვა, რომ იუჰანსონის კანდიდატურა სრულიად მისაღებია, ბლატერს კი ნათლად ლაპარაკი მართებს.

პრეს-კონფერენციაზე სიტყვა ავილანჟმაც თქვა. მოხუცი, რომელიც 24 წელიწადია მსოფლიოს ფეხბურთის საქმეებს მართავს თვლის, რომ მისმა შემცვლელმა გარდა საკუთარი პოლიტიკისა, საზოგადო ინტერესებსაც უნდა სდიოს. უეფას მიმართ კი საყვედური გამოთქვა, ევროპელები ცუდად ირჯებიან, მათ კონტინენტზე მოთამაშე აფრიკელებს და სამხრეთ ამერიკელებს ნაკრებების თამაშებზე დროულად არ ანთავისუფლებენო.

იუჰანსონმა ბრალდება იმით მოიგერია, რომ განაცხადა, არა მარტო აფრიკული და ლათინოამერიკული, უძლიერეს კლუბთა ჭირვეულობით მცირე ევროპული ქვეყნებიც იჩაგრებიანო და პრობლემის მოგვარება ითავა. შემდეგ მას ჰკითხეს, ფიფას პრეზიდენტობა ვინმე აფრიკელმა რომ ისურვოს თქვენს კანდიდატურას თუ მოხსნითო.

— არ მესმის რატომ უნდა მოვხსნა ჩემი კანდიდატურა, პრეზიდენტობისთვის ბრძოლა ხომ თავისუფალია — იყო პასუხი.

## ინგლისი

XXV ტური

**ლესტერი 1:0 ლიდსი**
1:0 პარკერი (443)

**ბარნსლი 2:2 ევერტონი**
1:0 ფიორტოფტი (24), 1:1 ფერგიუსონი (40), 1:2 გრანტი (50), 2:2 ბერნარდი (63)

**ბლექბერნი 0:3 ტოტენჰემი**
0:1 ბერტი (37), 0:2 არმსტრონგი (89), 0:3 ფოქსი (90)

**დერბი 0:1 ასტონ ვილა**
0:1 იორკი (90)

**ქოვენთრი 1:0 შეფილდი**
1:0 დაბლინი (743)

**ლივერპული 2:3 საუთჰემპტონი**
0:1 ჰერსტი (83), 1:1 ოუენი (24), 1:2 ოსტენსტადი (85), 1:3 ჰერსტი (90), 2:3 ოუენი (90)

**მანჩესტერი 1:1 ბოლტონი**
0:1 ტეილორი (60), 1:1 კოული (85)

**ნიუკასლი 0:1 ვესტ ჰემი**
0:1 ლაზარიდისი (16)

**არსენალი 2:0 ჩელსი**
1:0, 2:0 პიუზი (4, 42)

**კრ. პალასი — უიმბლდონი**
*დღეს გაიმართება*

## ილოცეთ თამაშის წინ



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბოლტონი. ეს წუთია, ენდი კოულმა მასპინძლები იხსნა

...40 წლის წინ მიუნხენის აეროპორტში მომხდარმა საშინელმა ავიაკატასტროფამ ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებიც იყვნენ.

1958 წლის თებერვლის იმ სუსხიან დღეს გერმანიიდან სამშობლოში გუნდთან ერთად ბობი ჩარლტონიც ბრუნდებოდა, მაგრამ განგებამ რამდენიმე იღბლიანთან ერთად მისი დაღუპვა არ ინება...ისინი, ვინც იმ დღეს სიკვდილს გადაურჩნენ, სხვებთან ერთად პარასკევს გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად ეკლესიაში მივიდნენ, შაბათს კი უკვე „ოლდ ტრეფორდზე", მასპინძელთა და „ბოლტონის" მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, 55 ათას გულშემატკივართან ერთად დაღუპულებს წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი. მოგვიანებით ტრაგედიის 40 წლისთავის აღსანიშნავად პატარა ცერემონიალიც მოეწყო. ამან სულ რამდენიმე წუთს გასტანა, მაგრამ ძლიერ ამაღელვებელი სანახავი იყო.

ამ დღეს მანჩესტერელებს აღმაფრენით მართებდათ თამაში, რომ ბოლო ოთხ შეხვედრაში პირველად მოეგოთ და კლუბის აღრინდელი თაობის დაღუპული ფეხბურთელებისთვისაც პატივი ეცათ, მაგრამ მათ ამგვარი არაფერი ეტყობოდათ. პირიქით, „ბოლტონს" ოდნავ რომ გამართლებოდა, იქნებ „იუნაიტედი შინაც დამარცხებულიყო, მაგრამ მასპინძლებმა არ წააგეს. ამით სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ გუნდს მიზანი არ ჰქონდა, პირიქით, სანამ კოული ანგარიშს გააყაიმებდა, მასპინძლებმა „ბოლტონის" კარის ძელები სამჯერ შეაზანზარეს; მსაჯის წამატებულ დროში კი გარი ნევილს არ გაუმართლა, მაგრამ მიუხედავად შერყეული ძელებისა და მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტისა, მასპიძნელთა თამაში მაინც ტოვებდა უკეთესის სურვილს..

ცოტა უცნაური კია, მაგრამ ალექს ფერგიუსონის გუნდმა ლაღი, საზრიანი თამაში და ერთობ სახიფათო შეტევები თითქოს გასულ წელს გაატანა. „ალისფერი ეშმაკები" ჩემპიონატის პირველ ნახევარში ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ, უახლოეს მდევარსაც და აუტსაიდერსაც ერთნაირი სისასტიკით ამარცხებდნენ, თან ამას ლამაზ სტილში აკეთებდნენ, მათი შედეგიანი თამაში სანახაობრივიც გახლდათ. შესაძლოა, ინგლისის ბოლო წლების უძლიერეს გუნდს კრიზისიც დაეწყო. თუ ასეა, მაშინ მოულოდნელი არაფერია, რადგან ამას ორი მიზეზი აქვს — ჯერ ერთი, „მანჩესტერმა" სეზონის ნახევარი შესანიშნავად ჩაატარა და გარდა იმისა, რომ ჩემპიონატისა და ორ თასზე თამაშობდა, ჩემპიონთა ლიგაშიც გვარიანად ღვარა ოფლი, რაც, ცხადია, უკვალოდ არ ჩაივლიდა. და კიდევ: როგორც ბოლო წლების გამოცდილებამ გვაჩვენა, ფერგიუსონის გუნდს ყველაზე მეტად სწორედ წლის ამ პერიოდში უჭირს თამაში, რასაც ჩემპიონატის მძლავრი დაბოლოება მოსდევს ხოლმე.

ასეა თუ ისე, „მანჩესტერ იუნაიტედი" ნამდვილად ვერ ირჯება ისე, როგორც ინგლისის ჩემპიონატის ლიდერს შეჰფერის. რაკი ჩემპიონატი ვახსენე, აქვე იმასაც დავძენ, რომ რაც დრო გადის, სხვაობა მცირდება და თან მანჩესტერელთა მდევრების რაოდენობაც ნელ-ნელა იზრდება — ჩემპიონობის მოპოვების შანსი უკვე ერთ-ორ გუნდს კი არა, რამდენიმეს აქვს.

„ოლდ ტრეფორდზე" შაბათს გამართულ მატჩს რაც შეეხება, უპირატესობა ასე თუ ისე, მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ „ბოლტონის" მწვავე კონტრიერიშები ცხადყოფდა, რომ დაცვის უყურადღებოდ მიტოვება არ იქნებოდა. ალბათ, მასპინძლებმა ეს ვერ გაითვალისწინეს და მატჩის დაწყებიდან ზუსტად ერთი საათის შემდეგ დაისაჯნენ — ჯეიმი პოლოკმა მეტოქის დაცვას მარჯვნიდან შეუტია და საჯარიმოში ჩაწოდებაც მოაყოლა, იქ კი რა მოხდა, ძნელი ასახსნელია — გარი ნევილმა და პიტერ შმაიხელმა როგორ მოახერხეს სრულიად უწყინარ სიტუაციაში გოლის გაშვება, გასაკვირია. თვითონ გოლის ავტორი ბობ ტეილორიც არ ელოდა ანგარიშის გახსნას — შეტევა ჩაშლილად ჩავთვალე, როცა თანაგუნდელების აღმართულ ხელებს მოვკარი თვალი — განუცხადებია ტეილორს მატჩის შემდეგ. მხვათა შორის, 31 წლის ფეხბურთელი „ბოლტონის" შემადგენლობაში ბოლო მატჩს თამაშობდა. რადგან გუშინ პირველი დივიზიონის „ვესტ ბრომვიჩიდან" „ბოლტონში" მისი განათხოვრების ვადა ამოიწურა.

მოგვიანებით, როცა ბოლტონელები უკვე გულში გამარჯვებას ზეიმობდნენ და მოზღვავებული ვნებების საჯაროდ გამოსახატავად მოუთმენლად ელოდნენ მსაჯის სასტვენს, ანგარიშიც გაყაიმდა — მასპინძელთა შეტევა ბოლტონელთა მეკარემ კიტ ბრენეგენმა უხეიროდ მოიგერია და იქვე წამოპარულ ენდი კოულს ჩემპიონატში მორიგი გოლის შეგდებაში ხელი ველარ შეუშალა.

— პროფესიონალები ვართ, ვიცით ჩვენი საქმე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წარმატება მუდამ ჩვენი თანამდევი იქნება. გადატვირთულმა კალენდარმა ძლიერ გამოგვფიტა, ახლა ერთი თვით დასვენებაზე უკეთესი, არაფერი იქნებოდა, მაგრამ ზურგსუკან უკვე აშკარად ისმის მდევრების გულისცემა, ეს კი მოდუნების საშუალებას არ იძლევა. ცხადია, მეტოქის ძლევა შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა. ვეცდებით, ლიდერობა შემდგომში განვამტკიცოთ. 40 წლის წინანდელი ტრაგედიის აღნიშვნასთან დაკავშირებით გუნდს გაცილებით უკეთ უნდა ეთამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა — განაცხადა მანჩესტერელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა, რომელმაც წინა დღით ბობი ჩარლტონთან ერთად ეკლესიაში ილოცა.

შაბათს ინგლისში „მანჩესტერი" — „ბოლტონის" შეხვედრის პარალელურად კიდევ შვიდი მატჩი გაიმართა, რომელთაც უდავოდ მოულოდნელი შედეგები მოიტანეს.

მანჩესტერელთა ერთ-ერთმა მდევარმა „ბლექბერნმა" პირწმინდად წააგო აუტსაიდერად ქცეულ „ტოტენჰემთან". როი ჰოჯსონის საკმაოდ ძლიერი გუნდი ასე აქამდე მხოლოდ ალექს ფერგიუსონის გუნდს გაუნადგურებია. მასპინძლებმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს გამარჯვებას დანატრებულ გაავთრებულ სტუმრებს. კაცი იფიქრებს, ბლექბერნელთა სასტიკი მარცხი ბოლო წუთებში მოდუნებამ გამოიწვიაო, მაგრამ ასე სულაც არაა. პირიქით, არმსტრონგის და ფოქსის გოლები იმ უპირატესობის და ლაღი თამაშის ლოგიკური დაბოლოება იყო, რომლითაც განაპირობა კიდეც ლონდონურმა გუნდმა სტუმრად ზეიმი. სხვათა შორის, ბლექბერნში ანგარიში იტალიელმა ნიკოლა ბერტიმ გახსნა მას შემდეგ, რაც ორ მასპინძელ მცველს რამდენიმე წამში თავგზა აუბნია.

კვლავ წააგო „ნიუკასლმა", რომელმაც მორიგი უსახური მატჩი ითამაშა. „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" შეკრებილი ქომაგები, უეჭველია, გაწბილებულნი დაბრუნდებოდნენ, რადგან მათ საყვარელ გუნდს სიძლიერის არაფერი ეტყობოდა. მხოლოდ ალმა-დალმა უშედეგო სირბილმა „ნიუკასლს" ვერაფერი მოუტანა — წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევს, გუნდი პროგრესს არ განიცდის, პირიქით, უკან-უკან მიდის.

ძლიერ მოულოდნელი იყო „ენფილდ როუდზე" მასპინძელთა მარცხი „საუთჰემპტონთან". ლივერპულელებს თითქმის თვეზე მეტია არ წაუგიათ, „საუთჰემპტონი" კი მივიდა და გაიმარჯვა. არადა, თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, წითლები, რათუ ფრეს, მოგებას იმსახურებდნენ. მარტო მაიკლ ოუენის თამაშის ნახვა ღირდა ერთ რამედ. ამ 18 წლის ყმაწვილმა, რომელიც „ლივერპულის" ბავშვთა გუნდების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია, პრემიერლიგაშიც განაგრძო გოლების გატანა, მაგრამ რად გინდა? — სტუმრებმა, მთელი საათნახევარი უშნოდ რომ ირჯებოდნენ, ოთხი კონტრშეტევა განახორციელეს და აქედან სამი ჯეიმსის კარის აღებით დაასრულეს.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 25 | 15 | 5 | 5 | 52:19 | 50 |
| ჩელსი | 25 | 14 | 3 | 8 | 52:27 | 45 |
| ლივერპული | 25 | 13 | 6 | 6 | 41:22 | 45 |
| ბლექბერნი | 25 | 12 | 9 | 4 | 44:27 | 45 |
| არსენალი | 24 | 12 | 8 | 4 | 44:26 | 44 |
| დერბი | 25 | 11 | 6 | 8 | 39:31 | 39 |
| ლიდსი | 25 | 11 | 5 | 9 | 34:28 | 38 |
| ვესტ ჰემი | 25 | 12 | 2 | 11 | 37:35 | 38 |
| ლესტერი | 25 | 9 | 9 | 7 | 28:22 | 36 |
| ნიუკასლი | 25 | 9 | 5 | 11 | 25:30 | 32 |
| საუთჰემპტონი | 25 | 9 | 4 | 12 | 29:35 | 31 |
| ქოვენთრი | 25 | 7 | 9 | 9 | 29:34 | 30 |
| ასტონ ვილა | 25 | 8 | 6 | 11 | 27:34 | 30 |
| შეფილდ უენ | 25 | 8 | 6 | 11 | 37:48 | 30 |
| ევერტონი | 25 | 7 | 7 | 11 | 30:37 | 28 |
| უიმბლდონი | 23 | 6 | 8 | 9 | 22:27 | 26 |
| ტოტენჰემი | 25 | 7 | 5 | 13 | 24:41 | 26 |
| კრ. პალასი | 24 | 5 | 8 | 11 | 21:34 | 23 |
| ბოლტონი | 25 | 4 | 11 | 10 | 22:41 | 23 |
| ბარნსლი | 25 | 6 | 4 | 15 | 22:61 | 22 |

## პირველი დივიზიონი

30-ე ტური. ბირმინგემი — მიდლსბრო 1:1; ბრედფორდი — ჩარლტონი 1:0; ბერი — პორტ ვეილი 2:1; ჰადერსფილდი — სტოკპორტი 1:0; ნორვიჩი — სიტი 0:0; პორტსმუთი — ნოტინგემი 0:1; ქუინზ პარკი — ქრიუ 3:2; რედინგი — ტრანმერი 1:3; შეფილდ იუნაიტედი — ოქსფორდი 1:0; სტოკ სიტი — იფსვიჩი 1:1; სვინდონი — ვესტ ბრომვიჩი 0:2; ვულვერჰემპტონი — სანდერლენდი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 30 | 18 | 6 | 6 | 48:28 | 60 |
| მიდლსბრო | 29 | 16 | 8 | 5 | 47:26 | 56 |
| სანდერლენდი | 29 | 16 | 7 | 6 | 49:28 | 55 |
| შეფილდ იუნ | 30 | 14 | 12 | 4 | 46:31 | 54 |
| ჩარლტონი | 30 | 15 | 7 | 8 | 53:38 | 52 |
| ვულვზი | 30 | 14 | 6 | 10 | 40:30 | 48 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 14 | 6 | 10 | 32:28 | 48 |
| ბირმინგემი | 30 | 11 | 11 | 8 | 37:23 | 44 |
| სტოკპორტი | 30 | 13 | 5 | 12 | 48:42 | 44 |
| ბრედფორდი | 31 | 11 | 11 | 9 | 33:32 | 44 |
| სვინდონი | 31 | 12 | 7 | 12 | 34:43 | 43 |
| ნორვიჩი | 30 | 11 | 7 | 12 | 29:41 | 40 |
| იფსვიჩი | 29 | 9 | 12 | 8 | 36:31 | 39 |
| ქრიუ | 30 | 11 | 4 | 15 | 37:45 | 37 |
| ქუინზ პარკი | 30 | 9 | 9 | 12 | 33:45 | 36 |
| რედინგი | 30 | 9 | 9 | 12 | 31:45 | 36 |
| ოქსფორდი | 30 | 9 | 6 | 15 | 36:44 | 33 |
| ჰადერსფილდი | 30 | 8 | 9 | 13 | 32:41 | 33 |
| სტოკ სიტი | 30 | 8 | 9 | 13 | 31:45 | 33 |
| სიტი | 30 | 7 | 9 | 14 | 33:34 | 30 |
| ტრანმერი | 28 | 7 | 9 | 12 | 31:35 | 30 |
| ბერი | 30 | 5 | 14 | 11 | 27:39 | 29 |
| პორტ ველი | 30 | 8 | 5 | 17 | 34:47 | 29 |
| პორტსმუთი | 29 | 6 | 6 | 17 | 31:47 | 24 |

# დორტმუნდი ბონს მოემბო

## გერმანია

XXII ტური

**დუისბურგი 1:0 კარლსრუე**
1:0 ჰაიტო (82)

**კაიზერსლაუტერნი 3:0 ბოხუმი**
1:0 ვაგნერი (33), 2:0, 3:0 რიშე (45, 82)

**არმინია 1:1 მიუნხენი**
1:0 რიდლევიჩი (64), 1:1 აგოსტინო (87)

**ლევერკუზენი 4:1 ვერდერი**
1:0 კირსტენი (7), 1:1 ბრანდი (37პ), 2:1 კირსტენი (66პ), 3:1 მეიერი (68), 4:1 ბაინლიხი (83)

**დორტმუნდი 3:1 შტუტგარტი**
1:0 დეშეივერი (22), 2:0 კოლერი (29), 3:0 დეშეივერი (42), 3:1 ბობიჩი (63)

**ჰამბურგი 1:1 ჰერტა**
0:1 შმიდტი (5), 1:1 ფიშერი (28)

**გლადბახი 0:1 შალკე**
0:1 მაქსი (42)

**ბაიერნი 2:0 ჰანზა**
1:0 ციკლერი (16), 2:0 ტარნატი (18)

**ვოლფსბურგი 1:1 კიოლნი**
1:0 პრეგერი (75), 1:1 აზიზი (87)

მთელი სეზონია, „კაიზერის" წაფორთხილებას ელიან. დებიუტანტი დიდ კლუბებს ყელში გაჩხერიათ და ნუგეშად ის თუ აქვთ, ბუნდესლიგის ლიდერს ფეხდაფეხ რომ მისდევენ.

1991 წლის ბუნდესჩემპიონი პარასკევს ლიგის აუტსაიდერ „ბოხუმს" მასპინძლობდა. ოც წუთში სტუმრებს ბულგარელი გეორგი დონკოვი გაუგდეს და რეჰაგელის გუნდს დიდი ანგარიშით მოგება აღარ გასჭირვებია. კარგად მოთამაშე კადლეცს, სფორცას, ხრისტოვს და რატინიოს მხარი ვაგნერმა და რიშემ აუბეს. ერთ დროს გერმანიის ნაკრების ფეხბურთელმა ბოხუმელთა განადგურება დაიწყო, რიშემ კი ტაიმების მიწურულს თითო-თითოც დაამატა.

პარასკევსვე „დუისბურგმა" პოლონელი ჰაიტოს გოლით „კარლსრუე" სძლია. დანარჩენი მატჩები შაბათს გაიმართა.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში „დორტმუნდ" — „შტუტგარტის" შეხვედრა მოექცა. ჩემპიონთა თასის მფლობელი ამ მატჩში წარუმატებლობით ბუნდესლიგაში დარჩენის შანსს იმცირებდა. ამან მასპინძლები აიძულა, მობილიზებულად ეთამაშათ და კიდეც იხეირეს. მართალია, „დორტმუნდი" მთელი მატჩის მანძილზე დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ თავიდან მსაჯმაც წააშველა ხელი, კოლერის მიერ ბობიჩის წაქცევისთვის პენალტი რომ არ დანიშნა.

„ბორუსიას" დაცვა ამ შეხვედრაში გაცილებით ორგანიზებულად თამაშობდა, დორტმუნდელთა შეტევებიც მეტად მობილური იყო. რიკენის, მიოლერისა და ჰაინრიხის მრავალფეროვანმა და სახიფათო თამაშმა ჰოლანდიელი დეშეივერის დუბლი და კოლერის თაური შვა. შტუტგარტელი ბობიჩის ძალისხმევამ შედეგი მეორე ტაიმის შუაწელშილა გამოიღო, თუმცა ამით მხოლოდ სხვაობა შემცირდა. „შტუტგარტის" დამარცხებამ „დორტმუნდს" იმის რწმენა გაუძლიერა, რომ დარჩენილ ტურებში დიდ პოტენციას გამოიყენებს და მდგომარეობას გაიუმჯობესებს.

ძლიერად ითამაშა „ბაიერნმაც", რომლის საგოლე მომენტებს თვლა არ ჰქონდა. ბასლერისა და ელბერის ნაკლებობა უფრო ანგარიშში აისახა, რადგან ციკლერის, შოლის, რიციტელისა და იანკერის იერიშები მხოლოდ ორჯერ დასრულდა გოლით. არადა, ანგარიში ციკლერმა უკვე მე-16 წუთზე გახსნა და ორ წუთშიც ტარნატმა საჯარიმო დარტყმით გაორა. ამ მოგებით „ბაიერნი" კვლავ აგრძელებს „კაიზერთან" ჩემპიონობისთვის პაექრობას, მაგრამ რაკი მასთან უკვე ორჯერ წაუგია, პირველობის ბედი ახლა რეჰაგელის ხელშია.

მაშინ, როცა „კაიზერსლაუტერნი" „ბაიერნსა" და მის პრეზიდენტ კაიზერ ფრანცს ნერვებს უწეწავს, ოდესღაც სახელგანთქმული „ჰამბურგი" და მისი პრეზიდენტი უვე ზეელერი „ჰერტასნაირ" მეტოქესთან მოგებას ნატრობენ. სხვაგვარად ცხრილის ფსკერზე ჩაძირულ „ჰამბურგს" მეორე ბუნდესლიგაში მოუწევს ახალი სეზონის დაწყება.

ამჯერად ზეელერს თავისი გუნდის თავკაცი, პაგელსდორფი აღარ უძაგებია, თუმცა არც უსამართლო ყაიმით დარჩენილა დიდად უკმაყოფილო. „ჰერტამ" მთელ მატჩში ერთხელ შეუტია და მაშინაც იხეირა. ამ ეპიზოდში მასპინძელთა მეკარე ჰანს-იორგ ბუტი შეცდა უხეშად და ეს თავის გუნდს ძვირად დაუსვა — „ჰამბურგმა" უამრავი მომენტის მიუხედავად, მხოლოდ გათანაბრება შეძლო.

ფრედ დამთავრდა ბილეფელდში „არმინია" — „მიუნხენის" შერკინებაც. აქაც მასპინძლები დომინირებდნენ. რენე რიდლევიჩმა 64-ე წუთზე ბრწყინვალე გოლით დააწინაურა მასპინძლები. სამ წუთში „არმინიამ" რიცხობრივი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ მიუნხენელმა პოლ აგოსტინომ მატჩის მიწურულს გაათანაბრა და აფრიკის თასზე წასული განელის, აბედი პელეს გარეშე მოთამაშე თანაგუნდელებს ქულა მოაპოვებინა. ბილეფელდელთა შორის ირანელები გამოირჩეოდნენ ალი დაეი და ქარიმ ბაგერი.

„მიუნხენისგან" განსხვავებით, „ლევერკუზენის „ბაიერმა" სასჯელმოხდილი კირსტენი შეიმატა და კიდეც იხეირა. ულიმ „ვერდერს" ორჯერ გაუტანა, აქედან ერთი პენალტით და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ანგარიში კი გამანადგურებელი მას შემდეგ გახდა, რაც დაბნეულმა მსაჯმა სტუმართა მეკარე ოლივერ რეკი გააძევა. მის ნაცვლად კარში ჩამდგარ წინახაზელს ბაინლიხმა ხელთათმანების მორგებაც არ აცალა, ისე გაუტანა საჯარიმო. გაგდებამდე თამაში რამდენიმე წუთითაც შეწყდა, რადგან რეკს ონავარმა მაყურებელმა კეფაში გაარტყა. შეხვედრამ რომ ასე იცვალა სახე, ცუდმა მსაჯობამ განაპირობა — არბიტრმა მეორე ტაიმში მასპინძელთა სასარგებლოდ ყურით მოთრეული პენალტით 37-ე წუთზე დაშვებული შეცდომის გამოსწორება სცადა. თუმცა, „ბაიერმა" ისე ძლიერად ითამაშა, რომ არა მსაჯის შეცდომები, მისი მოგება საეჭვო არც გახდებოდა.

საინტერესო გამოდგა მიონხენგლადბახში უეფას თასის მფლობელთა სტუმრობა. „ბორუსიას" თამაშს შტეფან ეფენბერგი მხოლოდ სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს, რამაც მასპინძელთა შემტევ პოტენციალს დაღი დაასვა. სამაგიეროდ, „შალკემ" შეკრიბა ოპტიმალური შემადგენლობა და თამაშის დიდი ნაწილიც მეტოქის ნახევარზე გაატარა. სტუმართა გოლეადორმა მარტინ



ულფ კირსტენი

მაქსმა ისარგებლა პირველი ტაიმის ბოლოს მიონხენგლადბახელთა მეკარის შეცდომით და ერთადერთი გოლი გაიტანა. მატჩის ბოლოს მასპინძლებმა იძალეს — „შალკე" ლუპესკუს დარტყმასაც ძლივს გადაურჩა. ამ მოგებით გელზენკირხენელებმა ერთხელაც დაამტკიცეს, დღესდღეობით ბუნდესლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი რომ ჰყავთ.

**ბია ბილიბაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 22 | 15 | 4 | 3 | 46:26 | 49 |
| ბაიერნი | 22 | 14 | 5 | 3 | 48:25 | 47 |
| ლევერკუზენი | 22 | 10 | 8 | 4 | 45:25 | 38 |
| შტუტგარტი | 22 | 10 | 6 | 6 | 42:32 | 36 |
| შალკე | 22 | 9 | 9 | 4 | 25:19 | 36 |
| დუისბურგი | 22 | 9 | 5 | 8 | 27:26 | 32 |
| ჰანზა | 22 | 9 | 4 | 9 | 33:29 | 31 |
| ვერდერი | 22 | 9 | 4 | 9 | 27:35 | 31 |
| ჰერტა | 22 | 8 | 5 | 9 | 27:34 | 29 |
| დორტმუნდი | 22 | 7 | 7 | 8 | 37:33 | 28 |
| ვოლფსბურგი | 21 | 8 | 3 | 10 | 27:31 | 27 |
| კარლსრუე | 22 | 6 | 7 | 9 | 33:40 | 25 |
| არმინია | 22 | 7 | 2 | 13 | 27:35 | 23 |
| ბოხუმი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:36 | 23 |
| კიოლნი | 21 | 7 | 2 | 12 | 35:47 | 23 |
| გლადბახი | 22 | 5 | 7 | 10 | 36:42 | 22 |
| მიუნხენ 1860 | 22 | 5 | 7 | 10 | 23:38 | 22 |
| ჰამბურგი | 22 | 5 | 6 | 11 | 26:36 | 21 |

## იტალია

XIX ტური

**ბარი 0:1 ფიორენტინა**
0:1 მორფეო (71)

**ემპოლი 5:0 ნაპოლი**
1:0 ესპოზიტო (24), 2:0 კაპელინი (37პ), 3:0 პანე (50), 4:0, 5:0 ფლორიანჩიჩი (76, 79)

**ინტერი 0:1 ბოლონია**
0:1 პარამატი (56)

**იუვენტუსი 3:1 რომა**
1:0 ზიდანი (45), 2:0 დელ პიერო (48), 2:1 პაულუ სერჟიო (56), 3:1 დავიდსი (64)

**ლაციო 2:1 მილანი**
1:0 მანჩინი (5), 2:0 ბოკშიჩი (89), 2:1 კლუივერტი (90)

**პიაჩენცა 1:1 ვიჩენცა**
0:1 ძაული (47), 1:1 მურჯიტა (56)

**სამპდორია 2:1 ბრეშა**
1:0 ბია (17ს.კ.), 2:0 მონტელა (35პ), 2:1 ნერი (50)

**უდინეზე 6:0 ლეჩე**
1:0 კაპრიენი (20ს.კ.), 2:0, 3:0 ბირჰოფი (38, 48), 4:0, 5:0 პოჯი (59პ, 67), 6:0 ჯანიკედა (90)

**ატალანტა 0:0 პარმა**

„იუვენტუსმა" დრო იხელთა და ტურში, რომელშიც „ინტერმა" შინ „ბოლონიასთან" წააგო, „რომასთან" გამარჯვებით მდევარს ოთხი ქულით გაასწრო.

„იუვენტუსისა" და „რომას" შეხვედრა თავდაუზოგავი ბრძოლა გახლდათ. ანგარიში ზინედინ ზიდანმა რთულად აღსაწერი შეტევის დამაგვირგვინებელი დარტყმით გახსნა. შესვენების შემდეგ ალესანდრო დელ პიერომ მეორე გაიტანა, მაგრამ სტუმარმა ბრაზილიელმა პაულუ სერჟიომ სხვაობა შეამცირა. მოგვიანებით დელ პიერომ მეტოქის მეკარესთან პირისპირ შესასვლელად იგდო მომენტი ხელთ, მაგრამ რომაელმა მცველმა ფაბიო პეტრუციმ მკლავი დაუჭირა და წითელი ბარათი იხილა. ჯარიმა ტურინელთა ერთადერთმა ფერადკანიანმა ფეხბურთელმა ედგარ დევიდსმა დაბლა დაარტყა, ბურთი ჯერ მეკარისგან მარცხენა ძელს მოხვდა, იქიდან კი ბადეში შევარდა.

დედაქალაქელთა აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, ისინი პეტრუცის გაძევების ნაცვლად დელ პიეროს შეტევის თამაშგარედ მიჩნევას მოითხოვდნენ, მაგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, რამდენიმე წამით ადრე დიდიე დეშამპის მიერ კარმენე გაუტიერის წაქცევისთვის აშკარა პენალტის არდანიშვნას ვერ შეგუებოდნენ. ერთი პენალტისმაგვარი ეპიზოდი მასპინძელთა კართან მანამდეც იყო.

— „იუვენტუსი" ძალიან ძლიერი გუნდია, რომელსაც გარე ძალებიც ეხმარებიან, — განაცხადა მატჩის შემდეგ „რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ.

რაც შეეხება „სან სიროს" სენსაციას, იგი შექმნა გუნდმა, რომელსაც გასული წლის მარტის შემდეგ სტუმრად თამაში არ მოეგო — „ბოლონიამ" „ინტერის" კართან არაერთი მომენტი შექმნა, „ინტერმა" კი „ბოლონიას" 90 წუთში ერთადერთხელ დაურტყა. სანამ მიქელე პარამატი გამარჯვების გოლს შეაგდებდა, იგორ კოლივანოვმა და კენეტ ანდერსონმა ძელს გაარტყეს ბურთი.

„უდინეზე", წინა ტურში 11 თამაშის შემდეგ პირველად რომ დამარცხდა, კვლავ გამარჯვებათა გზას შეუდგა. მას „ლეჩესთვის" 10:0 უნდა მოეგო, მაგრამ 6:0 იკმარა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 19 | 13 | 5 | 1 | 44:15 | 44 |
| ინტერი | 19 | 12 | 4 | 3 | 33:16 | 40 |
| უდინეზე | 19 | 11 | 4 | 4 | 39:26 | 37 |
| ლაციო | 19 | 10 | 5 | 4 | 32:16 | 35 |
| ფიორენტინა | 19 | 9 | 6 | 4 | 38:20 | 33 |
| პარმა | 19 | 9 | 6 | 4 | 32:19 | 33 |
| სამპდორია | 19 | 8 | 7 | 4 | 37:32 | 31 |
| რომა | 19 | 7 | 8 | 4 | 32:24 | 29 |
| მილანი | 19 | 7 | 6 | 6 | 22:20 | 27 |
| ვიჩენცა | 19 | 6 | 5 | 8 | 21:35 | 23 |
| ბარი | 19 | 6 | 4 | 9 | 15:25 | 22 |
| ბოლონია | 19 | 4 | 8 | 7 | 24:27 | 20 |
| ბრეშა | 19 | 6 | 2 | 11 | 25:31 | 20 |
| ემპოლი | 19 | 5 | 4 | 10 | 30:34 | 19 |
| პიაჩენცა | 19 | 3 | 9 | 7 | 15:23 | 18 |
| ატალანტა | 19 | 3 | 7 | 9 | 16:29 | 16 |
| ლეჩე | 19 | 3 | 2 | 14 | 13:42 | 11 |
| ნაპოლი | 19 | 1 | 4 | 14 | 13:47 | 7 |

### სერია B

21-ე ტური. პადოვა — ტორინო 2:1; ანკონა — დი სანგრო 1:1; კალიარი — პესკარა 2:0; კიევო — ფ.ანრია 1:1; ლუკეზე — ჯენოა 2:3; მონცა — ვერონა 5:1; პერუჯა — რავენა 2:1; რეჯანა — რეჯინა 1:1; სალერნიტანა — ტრევიზო 4:0; ვენეცია — ფოჯა 1:0

## ესპანეთი

XXIV ტური

**სოსიედადი 1:1 ბილბაო**
0:1 ლარასაბალი (9), 1:1 გრასია (90)

**ესპანიოლი 0:1 სარაგოსა**
0:1 კილი გონსალესი (18)

**სალამანკა 0:1 სელტა**
0:1 ხუან სანჩესი (24)

**ვალენსია 1:2 ვალიადოლიდი**
0:1 ბენხამინი (12), 0:2 ვიქტორი (42), 1:2 ჟუეიჩი (44)

**დეპორტივო 2:2 რეალი**
1:0 ფრანი (15), 1:1 ვიკტორი (22), 2:1 ჯალმინია (25), 2:2 მორიენტესი (78)

**სპორტინგი 2:1 რასინგი**
1:0 როდრიგაო (22), 2:0 ერვასი (25პ), 2:1 ალბერტო ლოპესი (46)

**ტენერიფე 1:1 ბარსელონა**
0:1 რივალდო (45), 1:1 იოკანოვიჩი (47)

**მალიორკა 2:1 კომპოსტელა**
0:1 ფრანკ პასი (18), 1:1 სტანკოვიჩი (50), 2:1 ესკურრო (60)

**ბეტისი 2:1 მერიდა**
1:0 ალფონსო (37), 1:1 რუანო (47), 2:1 ფინიდი (80)

**ატლეტიკო — ოვიედო**
*დღეს გაიმართება*

„ბარსელონა" ტენერიფეზე დამარცხებას გადარჩა — თამაშის მიწურულს კუნძულელებმა კატალონიელებს გვარიანი შტურმი მოუწყვეს.

თავიდან, პირველი ტაიმი დასასრულს რომ უახლოვდებოდა, ბარსელონელთა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რივალდომ სეზონში თავისი მეთოთხმეტე გოლი შეაგდო. შესვენებიდან მოედანზე დაბრუნებულ გუნდებს ბურთაობა ახალგანახლებული ჰქონდათ, რომ კანარელებმა წონასწორობა აღადგინეს, იოკანოვიჩმა სტუმართა კარი დალაშქრა.

დასასრულისკენ მიმავალ შეხვედრაში სტადიონს ერთი კითხვა დასტრიალებდა თავს, გამეორდება ის, რაც თავმოყვარე კატალონიელებს ბოლო ხუთი შეხვედრიდან სამში შეემთხვათ? მათ ხომ იმ სამ მატჩში თითქმის მოგებული შეხვედრები ბოლო წუთებში წააგეს. ამჯერად ლუის ვან გაალის გუნდი მაგრად დადგა და შინ ქულით დაბრუნდა.

„ბარსამ" ცხრილის სათავეში შეინარჩუნა ადგილი. მესამე ადგილზე მყოფმა სან სებასტიანის „რეალ სოსიედადმა" კი ბასკთა დუელში 1:1 ითამაშა ბილბაოს „ატლეტიკთან". „სოსიედადმა" საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე მოახერხა ქულის მოპოვება.

ესპანური პრიმერა დივიზიონის ისტორიაში უსაძაგლესი რეკორდის ავტორმა ხიხონის „სპორტინგმა" ხალხის გაოცება დაასრულა და, როგორც იქნა, მოიგო. ხიხონელთა მსხვერპლი „რასინგი" შეიქნა — 2:1. 23 ვერმოგებული თამაშის მწკრივი გაწყდა.

„რეალმა" „დეპორტივოსთან" მსაჯის მიერ დამატებულ დროში პენალტი ააცილა მიზანს — სავიო შეცდა. რომ შეეგდო მოიგებდა. მანამდე კი „სამეფო გუნდმა" ორჯერ გაათანაბრა ანგარიში.

— ზედიზედ მესამე მატჩში ვერ გავიტანეთ პენალტი. სულ, სეზონში ოთხი თერთმეტმეტრიანი ვერ გამოვიყენეთ, რაც 12 ქულაა. სირცხვილია — თქვა „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 21 | 19 | 1 | 1 | 67:9 | 58 |
| ეინდჰოვენი | 20 | 12 | 7 | 1 | 58:25 | 43 |
| ვიტესი | 21 | 11 | 5 | 5 | 49:34 | 38 |
| ფეიენოორდი | 21 | 11 | 5 | 5 | 38:27 | 38 |
| ჰერენვენი | 20 | 11 | 5 | 4 | 33:23 | 38 |
| ტილბურგი | 21 | 10 | 3 | 8 | 36:31 | 33 |
| სიტარდი | 21 | 9 | 3 | 9 | 29:37 | 30 |
| სპარტა | 21 | 7 | 6 | 8 | 38:37 | 27 |
| როდა | 21 | 7 | 5 | 9 | 31:28 | 26 |
| ტვენტე | 20 | 6 | 7 | 7 | 23:24 | 25 |
| ბრედა | 21 | 7 | 4 | 10 | 24:27 | 25 |
| ნაიმეგენი | 21 | 8 | 1 | 12 | 24:41 | 25 |
| უტრეხტი | 19 | 7 | 3 | 9 | 36:42 | 24 |
| გრააფსხაპი | 21 | 5 | 6 | 10 | 25:24 | 21 |
| მაასტრიხტი | 21 | 6 | 3 | 12 | 20:47 | 21 |
| გრონინგენი | 21 | 4 | 7 | 10 | 26:38 | 19 |
| ვალვაიკი | 20 | 3 | 6 | 11 | 24:45 | 15 |
| ვოლენდამი | 21 | 2 | 5 | 14 | 14:56 | 11 |
| როდა | 21 | 7 | 5 | 9 | 31:28 | 26 |
| ტვენტე | 20 | 6 | 7 | 7 | 23:24 | 25 |

### მეორე დივიზიონი

26-ე ტური. ალბასეტე — რაიო 0:1; ლეიდა — ლევანტე 0:3; ორენსე — ალავესი 0:0; ტოლედო — ვილიარეალი 2:1; ეიბარი — ერკულესი 0:1; ლას პალმასი — ოსასუნა 3:0; ხაენი — ლეგანესი 1:2; სერესი — ატლეტიკო 2:1; ელჩე — სევილია 0:2; ესტრემადურა — ლოგრონიესი 2:0; ბადახოსი — ნუმანსია 2:2

## ჰოლანდია

**სიტარდი 2:1 სპარტა**
1:0 ჯეფრი (10), 2:0 ჰამინგი (21), 2:1 იალინკი (60)

**ტვენტე 1:0 ნაიმეგენი**
1:0 მაკინონი (67)

**მაასტრიხი 1:0 გრონინგენი**
1:0 ემერსონი (2)

**ბრედა 0:2 ჰერენვენი**
0:1 ნისტელროოი (87), 0:2 ტალანი (90)

**ტილბურგი 1:0 ვიტესი**
1:0 კოლკა (89)

**უტრეხტი 2:3 ფეიენოორდი**
1:0 მოლსი (27), 1:1, 1:2 კრუსი (34, 40), 1:3 ვოსი (54), 2:3 ვან მოლი (72)

**ვოლენდამი 1:4 როდა**
0:1, 0:2 პეტერსი (19, 37), 1:2 ჯენტილე (67), 1:3 ვრედე (75პ), 1:4 ვან ჰუტი (83)

**ვალვაიკი 1:5 აიაქსი**
0:1 არველაძე (9), 0:2, 0:3 ლაუდრუპი (23, 55), 1:3 ვან დერ ლეევტე (56) 1:4 ლაუდრუპი (60), 1:5 ბაბანგიდა (65)

**გრააფსხაპი 1:2 ეინდჰოვენი**
1:0 ვრემანი (11), 1:1 სტინგა (54), 1:2 ნილისი (90)

„აიაქსი" „ეინდჰოვენთან" 15-ქულიან უპირატესობას ინარჩუნებს. მალტის ტურნირიდან ამსტერდამში დაბრუნებულ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს შოთა არველაძეს ანგარიშის გასახსნელად მხოლოდ 9 წუთი დასჭირდა. შემდეგ ინიციატივა შოთას პარტნიორმა დანიელმა მიქაელ ლაუდრუპმა იტვირთა და ჰეთ-თრიქი შეასრულა. აიაქსელთა ბოლო გოლი ნიგერიელი ტიჯანი ბაბანგიდას გახლდათ.

არჩილ არველაძის „ბრედამ" ბოლო წუთებამდე გაუძლო „ჰერენვენს", მაგრამ საფინალო სასტვენის წინ გატყდა და ორი გოლი გაუშვა.

ჰოლანდიაში გადაბარგებული მესამე ქართველი ფეხბურთელის გიორგი დემეტრაძის „ფეიენოორდმა" კი ხულიო კრუზის ორი გოლის შემწეობით 3:2 სძლია „უტრეხტს". აღსანიშნავია, რომ როტერდამელებს 10 სეზონია, „უტრეხტისთვის" არ მოუგიათ.

„ეინდჰოვენს" ტრადიციულად უჭირს საშობაო არდადეგების შემდეგ. ახლაც ასე გახლდათ. დაშავებული ჟილ დე ბილდეს და დისკვალიფიცირებული არტურ ნუმანის გარეშე დიკ ადვოკაატის გუნდმა ვერაფრით ააწყო თამაში. სამი ქულა ლუკ ნილისის ბოლო წუთის დარტყმამ მოიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 21 | 19 | 1 | 1 | 67:9 | 58 |
| ეინდჰოვენი | 20 | 12 | 7 | 1 | 58:25 | 43 |
| ვიტესი | 21 | 11 | 5 | 5 | 49:34 | 38 |
| ფეიენოორდი | 21 | 11 | 5 | 5 | 38:27 | 38 |
| ჰერენვენი | 20 | 11 | 5 | 4 | 33:23 | 38 |
| ტილბურგი | 21 | 10 | 3 | 8 | 36:31 | 33 |
| სიტარდი | 21 | 9 | 3 | 9 | 29:37 | 30 |
| სპარტა | 21 | 7 | 6 | 8 | 38:37 | 27 |
| როდა | 21 | 7 | 5 | 9 | 31:28 | 26 |
| ტვენტე | 20 | 6 | 7 | 7 | 23:24 | 25 |
| ბრედა | 21 | 7 | 4 | 10 | 24:27 | 25 |
| ნაიმეგენი | 21 | 8 | 1 | 12 | 24:41 | 25 |
| უტრეხტი | 19 | 7 | 3 | 9 | 36:42 | 24 |
| გრააფსხაპი | 21 | 5 | 6 | 10 | 25:24 | 21 |
| მაასტრიხტი | 21 | 6 | 3 | 12 | 20:47 | 21 |
| გრონინგენი | 21 | 4 | 7 | 10 | 26:38 | 19 |
| ვალვაიკი | 20 | 3 | 6 | 11 | 24:45 | 15 |
| ვოლენდამი | 21 | 2 | 5 | 14 | 14:56 | 11 |

## ბელგია

21-ე ტური. ჰარელბეკი — ვესტერლო 0:0; მუსკრონი — ლოკერენი 1:3; ბევერენი — ბრიუგე 1:2; გენტი — შარლერუა 3:1; სტანდარდი — ეკერენი 0:2; ლიერსი — აალსტი 1:1; მოლენბეკი — ლომელი 1:2; ანტვერპენი — სენტ ტრიუდენი 0:4; გენკი — ანდერლეხტი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 21 | 18 | 3 | 0 | 53:15 | 57 |
| გენკი | 21 | 13 | 3 | 5 | 46:28 | 42 |
| ეკერენი | 21 | 12 | 4 | 5 | 38:25 | 40 |
| ჰარელბეკი | 21 | 9 | 9 | 3 | 37:22 | 36 |
| ლომელი | 21 | 9 | 5 | 7 | 34:29 | 32 |
| ანდერლეხტი | 21 | 9 | 5 | 7 | 30:25 | 32 |
| ლოკერენი | 21 | 10 | 0 | 11 | 40:44 | 30 |
| გენტი | 21 | 7 | 8 | 6 | 33:29 | 29 |
| სტ. ტრიუდენი | 21 | 7 | 7 | 7 | 22:23 | 28 |
| ლიერსი | 21 | 7 | 6 | 8 | 32:30 | 27 |
| აალსტი | 21 | 7 | 5 | 9 | 33:35 | 26 |
| შარლერუა | 21 | 7 | 5 | 9 | 29:38 | 26 |
| სტანდარდი | 21 | 6 | 7 | 8 | 29:30 | 25 |
| ვესტერლო | 21 | 5 | 8 | 8 | 28:37 | 23 |
| მუსკრონი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:31 | 20 |
| მოლენბეკი | 21 | 5 | 3 | 13 | 25:53 | 18 |
| ბევერენი | 21 | 3 | 7 | 11 | 20:35 | 16 |
| ანტვერპენი | 21 | 3 | 4 | 14 | 23:43 | 13 |

## საბერძნეთი

21-ე ტური. ვერია — პანათინაიკოსი 0:3; პრუდეფტიკი — ქსანტი 0:3; აპოლონი — პანიონისი 0:0; ეთნიკოსი — იონიკოსი 0:1; კალამატა — პაოკი 1:1; პანახაიკი — პანილიაკოსი 0:4; ირაკლისი — ათინაიკოსი 4:0; კავალა — აეკი 1:1; ოლიმპიაკოსი — ოფი 1:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 21 | 17 | 1 | 3 | 54:15 | 52 |
| ოლიმპიაკოსი | 21 | 17 | 1 | 3 | 53:16 | 52 |
| აეკი | 21 | 16 | 3 | 2 | 42:18 | 51 |
| პაოკი | 21 | 12 | 6 | 3 | 37:22 | 42 |
| იონიკოსი | 21 | 12 | 5 | 4 | 33:19 | 41 |
| ირაკლისი | 21 | 12 | 4 | 5 | 31:21 | 40 |
| ქსანტი | 21 | 9 | 4 | 8 | 39:36 | 31 |
| ოფი | 21 | 9 | 3 | 9 | 28:33 | 30 |
| პანილიაკოსი | 21 | 7 | 6 | 8 | 32:31 | 27 |
| აპოლონი | 21 | 7 | 5 | 9 | 21:28 | 26 |
| პანიონისი | 21 | 7 | 3 | 11 | 26:28 | 24 |
| პრუდეფტიკი | 21 | 5 | 4 | 12 | 20:41 | 19 |
| პანახაიკი | 21 | 6 | 1 | 14 | 19:43 | 19 |
| ვერია | 21 | 5 | 3 | 13 | 22:37 | 18 |
| კალამატა | 21 | 4 | 5 | 12 | 14:29 | 17 |
| ეთნიკოსი | 21 | 5 | 1 | 15 | 14:31 | 16 |
| ათინაიკოსი | 21 | 4 | 4 | 13 | 14:34 | 16 |
| კავალა | 21 | 3 | 5 | 13 | 23:40 | 14 |

## ალბანეთი

მე-18 ტური. ბესა — სოპოტი 3:2, დინამო — სკენდერბუ 3:1, აპოლონია — ბილისი 1:1, პარტიზანი — ლაცი 3:0, ალბპეტროლი — ვლაზნია 1:2, ელბასანი — ტეუტა 2:0, ლუშნია — ტომორი 5:0, შკიპონია — ტირანა 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 18 | 13 | 1 | 4 | 36:11 | 40 |
| ვლაზნია | 18 | 13 | 1 | 4 | 22:15 | 40 |
| ტირანა | 18 | 11 | 3 | 4 | 33:11 | 36 |
| შკუმბინი | 17 | 9 | 2 | 6 | 33:20 | 29 |
| ლაცი | 18 | 9 | 2 | 7 | 25:17 | 29 |
| ელბასანი | 18 | 9 | 1 | 8 | 28:14 | 28 |
| ტეუტა | 18 | 9 | 1 | 8 | 17:17 | 28 |
| აპოლონია | 18 | 7 | 5 | 6 | 23:18 | 26 |
| ფლამურტარი | 17 | 7 | 3 | 7 | 24:21 | 24 |
| ბილისი | 18 | 7 | 3 | 8 | 23:20 | 24 |
| სოპოტი | 18 | 7 | 3 | 8 | 25:33 | 24 |
| ლუშნია | 18 | 6 | 4 | 8 | 23:23 | 22 |
| სკენდერბუ | 18 | 6 | 4 | 8 | 15:23 | 22 |
| ბესა | 18 | 6 | 3 | 9 | 26:28 | 21 |
| ტომორი | 18 | 6 | 2 | 10 | 17:32 | 20 |
| დინამო | 18 | 5 | 3 | 10 | 15:25 | 18 |
| შკიპონია | 18 | 5 | 2 | 11 | 18:36 | 17 |
| ალბპეტროლი | 18 | 3 | 3 | 12 | 9:48 | 12 |

## შოტლანდია

24-ე ტური. აბერდინი — ჰიბერნიანი 3:0; კილმარნოკი — სენტ ჯონსტონი 1:0; დანდი იუნაიტედი — მოზერველი 1:0; რეინჯერსი — დანფერმლაინი 1:1; ჰარტსი — სელტიკი 1:1

ლიდერთა ტრიუმვირატი უკვე კარგა ხანია არსებობს, მაგრამ „რეინჯერსის" სუსტ „დამფერლაინთან" წაფორხილებამ მეტოქეებს გალიდერების შანსი მისცა. „სელტიკი" კონკრეტ „ჰარტსს" გასვლაზე ამარცხებდა, თუმცა მასპინძელთა ანგოლელმა ლეგიონერმა ჟოზე კიტონგომ ბოლო წუთებზე ზუსტად დაამატა და...

ჩვენ უნდა მოგვეგო — უთქვამს სელტიკელ ჯეკ მაკნამარას, „ჰარტსის" თავკაცმა ჯიმ ჯეფრისმა კი ქულაც რომ მოვიპოვეთ, მადლობელნი ვართო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 14 | 7 | 3 | 55:26 | 49 |
| სელტიკი | 24 | 15 | 4 | 5 | 43:17 | 49 |
| ჰარტსი | 24 | 15 | 4 | 5 | 52:31 | 49 |
| კილმარნოკი | 24 | 9 | 6 | 9 | 28:40 | 33 |
| სტ ჯონსტონი | 24 | 9 | 5 | 10 | 26:30 | 32 |
| დანდი იუნ | 24 | 7 | 7 | 10 | 33:36 | 28 |
| აბერდინი | 24 | 6 | 7 | 11 | 27:39 | 25 |
| დანფერმლაინი | 24 | 6 | 7 | 11 | 26:44 | 25 |
| მოზერველი | 24 | 6 | 5 | 13 | 31:41 | 23 |
| ჰიბერნიანი | 24 | 4 | 6 | 14 | 28:45 | 18 |

## პორტუგალია

მე-20 ტური. აკადემიკა — ბენფიკა 1:2; ლეცა — ვარზიმი 1:0; კამპომაიორენსე — მარიტიმუ 2:1; სეტუბალი — სალგეირუში 1:3; რიუ ავე — ბოავიშტა 1:1; სპორტინგი — გიმარაეში 1:1; ბრაგა — შავეში 5:0; ფარენსე — ბელენენსეში 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 19 | 14 | 4 | 1 | 43:19 | 46 |
| ბენფიკა | 20 | 10 | 6 | 4 | 30:18 | 36 |
| გიმარაეში | 20 | 10 | 4 | 6 | 25:14 | 34 |
| რიუ ავე | 20 | 9 | 6 | 5 | 27:22 | 33 |
| სპორტინგი | 20 | 8 | 8 | 4 | 24:16 | 32 |
| სალგეირუში | 20 | 8 | 6 | 6 | 29:23 | 30 |
| მარიტიმუ | 20 | 8 | 4 | 8 | 23:22 | 28 |
| ლეცა | 20 | 8 | 4 | 8 | 21:22 | 28 |
| ბოავიშტა | 20 | 6 | 9 | 5 | 25:19 | 27 |
| ბრაგა | 20 | 6 | 9 | 5 | 30:26 | 27 |
| კამპომაიორ. | 20 | 7 | 5 | 8 | 29:32 | 26 |
| ამადორა | 19 | 6 | 7 | 6 | 22:24 | 25 |
| ფარენსე | 20 | 5 | 9 | 6 | 25:27 | 24 |
| სეტუბალი | 20 | 5 | 6 | 9 | 21:25 | 21 |
| აკადემიკა | 20 | 4 | 7 | 9 | 16:27 | 19 |
| ვარზიმი | 20 | 4 | 7 | 9 | 16:31 | 19 |
| შავეში | 20 | 4 | 2 | 14 | 16:36 | 14 |
| ბელენენსეში | 20 | 2 | 7 | 11 | 12:31 | 13 |

## ისრაელი

მე-18 ტური. ჰაპოელი (ბეით შიანი) — ჰაპოელი (ფეთახ თიქვა 0:0; ჰაპოელი (ქვარ სავა) — ბეითარი 1:0; მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 1:1; ირონი (აშდოდი) — ირონი (რიშონი) 2:1; მაკაბი (ფეთახ თიქვა) — ჰაპოელი (ბეერშევა) 2:1; ბნეი იეჰუდა — ჰაპოელი (აშქელონი) 0:0; მაკაბი (ჰაიფა) — მაკაბი (ჰერცლია) 2:2; ჰაპოელი (იერუსალიმი) — ჰაპოელი (თელ ავივი) 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰ. თელ ავივი | 18 | 11 | 5 | 2 | 18:8 | 38 |
| ბეითარი | 18 | 10 | 7 | 1 | 41:18 | 37 |
| ჰ. ჰაიფა | 18 | 9 | 7 | 2 | 31:16 | 34 |
| მ. ჰაიფა | 18 | 10 | 4 | 4 | 32:20 | 34 |
| ჰ. ფეთახ თიქვა | 18 | 8 | 4 | 6 | 25:21 | 28 |
| ჰ. ქვარ სავა | 18 | 7 | 4 | 7 | 22:23 | 25 |
| ჰ. იერუსალიმი | 18 | 6 | 7 | 5 | 22:23 | 25 |
| ი. აშდოდი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:28 | 25 |
| მ. ჰერცლია | 18 | 5 | 7 | 6 | 23:22 | 22 |
| მ. ფეთახ თიქვა | 18 | 4 | 9 | 5 | 14:17 | 20 |
| მ. თელ ავივი | 18 | 4 | 7 | 7 | 19:22 | 19 |
| ი. რიშონი | 18 | 4 | 5 | 9 | 22:30 | 17 |
| ბნეი იეჰუდა | 18 | 3 | 7 | 8 | 15:22 | 16 |
| ჰ. ბეით შიანი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:28 | 15 |
| ჰ. აშქელონი | 18 | 3 | 5 | 10 | 16:28 | 14 |
| ჰ. ბეერშევა | 18 | 2 | 7 | 9 | 20:33 | 13 |

## თურქეთი

21-ე ტური. ბეშიქთაში — სამსუნი 0:1; ფენერბაჰჩე — ალთაი 2:0; ბურსა — ისთანბული 1:1; ანთალია — ტრაბზონი 1:1; ვანსფორი — გალათასარაი 0:3 შექერსფორი — გაზიანთეფი 4:3; ქოჯაელი — ქაისერი 3:1; ანკარაგიუჯიუ — ქარაბუქი 3:2; დარდანელი — გენჩლერბირლიგი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 21 | 13 | 5 | 3 | 35:14 | 44 |
| გალათასარაი | 21 | 13 | 3 | 5 | 47:26 | 42 |
| ტრაბზონი | 21 | 12 | 6 | 3 | 37:20 | 42 |
| ისთანბული | 21 | 10 | 8 | 3 | 39:22 | 38 |
| ბეშიქთაში | 21 | 9 | 7 | 5 | 38:23 | 34 |
| სამსუნი | 21 | 9 | 5 | 7 | 27:23 | 32 |
| ბურსა | 21 | 9 | 5 | 7 | 31:28 | 32 |
| დარდანელი | 21 | 7 | 7 | 7 | 26:22 | 28 |
| ქარაბუქი | 21 | 8 | 4 | 9 | 21:28 | 28 |
| ქოჯაელი | 21 | 7 | 6 | 8 | 27:25 | 27 |
| ანკარაგიუჯიუ | 21 | 7 | 6 | 8 | 26:29 | 27 |
| გენჩლერბირლიგი | 21 | 6 | 6 | 9 | 22:22 | 24 |
| ალთაი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:33 | 23 |
| შექერსფორი | 21 | 6 | 5 | 10 | 25:47 | 23 |
| ქაისერი | 21 | 6 | 4 | 11 | 21:34 | 22 |
| გაზიანთეფი | 21 | 5 | 6 | 10 | 26:31 | 21 |
| ანთალია | 21 | 5 | 6 | 10 | 30:38 | 21 |
| ვანსფორი | 21 | 1 | 6 | 14 | 14:48 | 9 |

## ფეხბურთის რუკასთან



კოლუმბიელებმა საბოლოოდ დაადგინეს ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატამდე გასამართი ამხანაგური მატჩების განრიგი. 11 თებერვალს კოლუმბიელები კლუბ „ბუკარამანგას" ეთამაშებიან, სამი-ოთხი დღის შემდეგ „სან ლორენსოს". 13 მარტს ისინი ბულგარელებს უმასპინძლებენ, იმავე თვის 25-სა და 28-ში კოლუმბია ნიუიორკში შესაბამისად იუგოსლავიასა და სამხრეთ აფრიკას შეხვდება. 22 აპრილს ჩილეს უმასპინძლებენ, სამი დღის შემდეგ კი სტუმრად აშშ-სთან ითამაშებენ. 24 მაისს ნიუიორკში კოლუმბიელებს სქოთები დაუპირისპირდებიან, 30 მაისს ფრანკფურტში — გერმანელები, 4 ივნისს კი ბრიუსელში ბელგიას შეხვდებიან.

ჰოლანდიაში შეწყდა გამოძიება ნაკრებისა და „მილანის" ახალგაზრდა თავდამსხმელ პატრიკ კლუივერტის და მისი მეგობრების წინააღმდეგ, რომლებსაც 20 წლის გოგონას გაუპატიურება ედებოდათ ბრალად. გამოძიება დანაშაულს არასაკმარისი დამამტკიცებელი საბუთების გამო შეწყდა.

იტალიელი სპრინტერი პიეტრო მენეა, რომლის რეკორდმაც 200 მეტრზე სირბილში 17 წელიწადს გაძლო და მხოლოდ 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიადაზე დაამხო იგი ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა, სერია B-ს კლუბ „სალერნიტანაში" გენერალურ დირექტორად იმუშავებს. ჯერჯერობით „სალერნიტანა" სერია A-ში გადასვლის უპირველესი კანდიდატია, თან აქამდე მხოლოდ ერთი მატჩი აქვს წაგებული.

ნიგერიის სპორტის მინისტრმა ემეკა ომერამ შაბათს განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ სრულიად შესაძლებელია 2006 ან 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა მოინდომოს. „შეჯიბრების მოწყობა მილიონზე მეტ სტუმარს ჩამოგვიყვანს, რაც ჩვენს ეკონომიკას ერთობ წაადგება. ნიგერია ყველაზე დიდი ზანგური ქვეყანაა და ამიტომ, ვფიქრობ, მას უმაღლეს დონეზე სძალუძს მასპინძლობის გაწევა. მოსამზადებლად კი 1999 წლის ახალგაზრდულ პირველობას გამოვიყენებთ" — თქვა ომერამ, რომელსაც არ ავიწყდება, რომ იაპონიამ და კორეამ 2002 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მას მერე მიიღეს, რაც ყმაწვილთა შეჯიბრებებს კარგად გაართვეს თავი.

იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე მიკო ვრანიესი, რომელიც ვოევოდინას „ნოვი სადში" თამაშობს, გაზაფხულის შემდეგ შესაძლოა ინგლისურ „ნიუკასლში" გადავიდეს. ამის შესახებ ბელგრადში გამომავალ გაზეთ „სპორტს" „ნოვი სადის" დირექტორმა სვეტოზარ საპურიჩმა უთხრა: საპურიჩმა ისიც განაცხადა, რომ ნიუკასლელებმა მის კლუბს მრავალმხრივი თანამშრომლობა შესთავაზეს. ვრანიესი 22 წლის მცველია.

რაც შეეხება ქვეყნის ეროვნული გუნდის ფეხბურთელს ზორან ჩირიჩს, იგი ბელგრადის „პარტიზანიდან" კვიპროსულ „ანორთოსისში" გადაბარგდა. „სპორტის" ცნობით თავდამსხმელი კვიპროსის გუნდში სამ თანამემამულე ფეხბურთელსა და მწვრთნელ დუშან მიტოშევიჩს შეუერთდება.

აშშ-ში მიმდინარე კონკაკაფის ოქროს თასზე მასპინძელთა გუნდმა 2:1 აჯობა კოსტა რიკას და ნახევარფინალში გავიდა. ოთხეულის მეორე გუნდი გახლავთ მექსიკა, რომელმაც ჰონდურასს 2:0 მოუგო. წვიმაში გამართულ ამ შეხვედრას 36 240 გულშემატკივარი დაესწრო. „ლოს ანჯელეს მემორიალ კოლიზიუმის" მინდვრის დატბორვის გამო კი იამაიკასა და სალვადორის ნაკრებთა მატჩი ორშაბათისთვის გადაიდო.

ჩილეს ნაკრები ავსტრალიელებს ესტუმრა და ამხანაგურ თამაშში მხოლოდ 1:0 მოუგო, არადა ენით აუწერელ უპირატესობას ფლობდა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთამერიკელებს არ ჰყავდათ მთავარი თავდამსხმელები ივან სამორანო და მარსელო სალასი, მაგრამ მასპინძელთა შეცდომებმა მათ მეტისმეტად გაუიოლეს საქმე. ერთადერთი გოლი მე-19 წუთზე კლარენს აკუნამ გაიტანა. შეხვედრამ თავსხმაში ჩაიარა.

ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" თვლის, რომ 17 წლის ირლენდ ჰანსტვეტს დიდი მომავალი აქვს. ჰანსტვეტი ნორვეგიული „ბრანის" შუა ნახევარმცველია და მიუხედავად მანჩესტერელებთან დადებული ხელშეკრულებისა 2001 წლამდე ასეთად დარჩება. „იუნაიტედის" ბოსმა ალექს ფერგიუსონმა ეს ასე განმარტა: „გარიგება ისეთი გვაქვს, რომ ჰანსტვეტი ჩვენი ფეხბურთელი იქნება, მაგრამ ერთხანს „ბრანში" დაბანაკდება.

არგენტინულმა „ბოკა ხუნიორსმა" თავისი 19 წლის ნახევარმცველი რომარ რეკელმე იტალიურ „პარმას" 14 მილიონ დოლარად მიჰყიდა, მაგრამ ხელშეკრულების თანახმად 1999 წლამდე თავისთან ეყოლება. რეკელმე ამ კონტრაქტამდე ბუენოს აირესის კლუბში 1500 დოლარს იღებდა. ახლა, ბუნებრივია, შემოსავალი გაეზრდება. იგი მართალია არგენტინის ეროვნულ გუნდში ჯერ არ აჰყავთ, მაგრამ 1997 წელს, მალაიზიაში გამართულ ახალგაზრდათა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის შეუცვლელ ძალას წარმოადგენდა.

ინგლისური „უიმბლდონი" მართალია ლონდონის კლუბია, მაგრამ ბინის ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში გადატანას აპირებს. ამ ამბავში გარკვევა საგანგებოდ სთხოვეს ევროკომისიას. საქმე ისაა, რომ „უიმბლდონი" ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. აღშფოთდა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციაც. საქმის მოსაგებად ლონდონურმა კლუბმა იქირავა ბელგიელი ვექილი ჟან ლუი დიუპონი, რომელმაც სახელი ყბადაღებული ჟან მარკ ბოსმანის ადვოკატობისას დაიგდო. „უიმბლდონს" სურს დუბლინში 165 მილიონ დოლარად ახალი სტადიონი აავოს. დღეისათვის, მოგეხსენებათ ეს კლუბი „კრისტალ პალასთან" ერთად „სელჰარსტ პარკს" იყოფს.

ბელგიურმა „მუსკრონმა" ევროკავშირში უჩივლა უეფას, რომელმაც მას მეტოქეთა საფრანგეთის ქალაქ ლილში მასპინძლობა აუკრძალა.

ესპანური „ატლეტიკოს" მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა ვერც დაადასტურა და ვერც უარჰყო ხმები სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლის შესახებ. ხმები გაზეთმა AS-მ დაჰყარა. იგი წერდა, რომ ანტიჩს ინგლისური კლუბები „ლივერპული" და „არსენალი" იწვევდნენ.

ინგლისური „არსენალის" მცველი მარტინ კიოუნი დაშავდა და ეროვნული გუნდის ბანაკს გამოაკლდა. მან თავდაპირველად ფეხი ჩემპიონატის შეხვედრაში, „ქოვენთრის" ფეხბურთელებთან შეჯახებისას დაიშავა. ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ოთხშაბათამდე ანუ ინგლის-ჩილეს ამხანაგურ თამაშამდე მოარჩენდნენ, მაგრამ გეგმა ჩაეშალათ. 31 წლის ლონდონელი ძირითადად ნახევარმცველია, მაგრამ ბოლო დროს პერსონალურ მეურვედ ათამაშებენ.

# ჰოლანდია ვერ გაიმარჯვებს

ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში უდიდესთა შორის უდიდესმა იოჰან კრუიფმა თქვა, რომ მისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მისაღწევად სწორი მსვლმხედველობა აკლია.

— ჩვენ საგანგებო ნიჭი გვაქვს, მაგრამ ერთ-ერთ პრობლემას მენტალური სისუსტე წარმოადგენს. ჰოლანდიელებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი უფრო გართობაა. გარდა ამისა, სხვა რამ ცუდიც მენიშნა, გუნდს იერარქია სჭირდება და ყველა მას უნდა დაემორჩილოს — უთხრა. კრუიფმა გაზეთ „ჰეტ პაროლს".

მან ისაუბრა ლონდონის „არსენალში" მოთამაშე დენის ბერხკამპზეც. კრუიფის აზრით ბერხკამპი, რომელსაც ბევრი ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს, ტექნიკით ევროპის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელის მარკო ვან ბასტენის სწორია, მაგრამ საქმისადმი დამოკიდებულებით მას ერთობ ჩამორჩება.

— ვან ბასტენი თავის შესაძლებლობებს შეღევის მისაღწევად იყენებდა. მას გოლი გაჰქონდა და სულ ერთი იყო როგორი იქნებოდა ის. ზოგიერთისთვის კი მთავარი ლამაზად გატანაა.

კრუიფის აზრით მსოფლიოს ჩემპიონობის შანსი ყველაზე მეტად ბრაზილიელებს აქვთ.

— ბრაზილია ისევე, როგორც გერმანია, არგენტინა და იტალია ტურნირის გუნდები არიან და კარგი შანსიც აქვთ — თქვა კრუიფმა, რაც შეეხება მთელს შეჯიბრებას: — იმედი მაქვს. რომ წინა ჩემპიონატებს აჯობებს, მაგრამ ფეხბურთის ტექნიკური მხარე მაეჭვებს. საფრანგეთში ბევრი თამაში დღისით, სიცხეში გაიმართება, მშრალ მინდვრებზე კი თამაში ნელდება. გარდა ამისა, ბევრი თამაშის ნახვამ შესაძლოა მობეზრება გამოიწვიოს.



კრუიფს სამშობლოსი არ სჯერა

— ფეხბურთში დაბრუნებაზე არ ვფიქრობ, თუმცა კაცმა არ იცის, რა იქნება მომავალში. დღეს ბარსელონაში ვცხოვრობ და ერთობ კმაყოფილი ვარ — თქვა გენიოსმა, რომლისთვისაც ეს ინტერვიუ გულის შეტევის გამო საავადმყოფოში წოლის შემდეგ პირველი იყო.



# ცოტაც და... სიურპრიზი

ვერის ბაღი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
7 თებერვალი

### სდასუ 99:57 მერანი

სდასუ: ახობაძე (6), ჩხეიძე (16), მგალობლიშვილი (19), ოთიურიძე (9), დერიუგინი (8); მუშკუდიანი (18), აბულაძე (5), სანაძე (8), ტაბატაძე (10), ოქრუაშვილი

მერანი: ფაჩულია, მარხვაშვილი (3), მარკოიშვილი (12), სანიკიძე (8), ჩაჩვლეიშვილი (11); ლაცაბიძე, ღვინიაშვილი, გეგეშიძე (3), ნათობიძე, ჩაჩუა (4), კედია (6), ფანჯიკიძე

### ვითა 79:77 მაკაბი

ვითა: აბრამიძე (18), გაგნიძე (12), კოკოლიშვილი (10), ჩუბინიძე (12), კორძაძე (7); მიქაძე (4), ლოსაბერიძე, მაჭარაძე (2), ორმოცაძე (14)

მაკაბი: ხუხაშვილი (1), ანდღულაძე (15), ტაბატაძე (18), ფერიაშვილი (20), ახალკაცი (13); ენდელაძე, შველიძე

მაკაბელებმა ჩინებულად ითამაშეს ჩემპიონის წინააღმდეგ და პირველი ნახევარი მოიგეს კიდეც 41:58.

ბრძოლა არც მეორე ტაიმში შენელებულა და უკანასკნელ წამს მალხაზ ანდღულაძის შორეული ტყორცნის შემდეგ ბურთი ვითელთა კალათში რომ მოთავსებულიყო, სიურპრიზის მოწმენი გავხდებოდით.

### თსუ 107:70 შევარდენი

თსუ: ჟღენტი (19), წოწელია (30), ცხვედიანი (2), ბაბიაშვილი (21), ნიჟარაძე (9); ნიკოლაძე (2), ქარჩავა (10), გელაშვილი, ტატულიშვილი (1), არსიაშვილი (13)

შევარდენი: ორჯონიკიძე (4), კაზანჯიანი (10), მაჭავარიანი, გიგაური (28), ლვინეფაძე (4); ცაგარეიშვილი, მესხი, ჩარგეიშვილი (13), არსიაშვილი (10), სურმავა (1)

პირველი წრის ბოლოს სტუდენტებმა სწორედ „შევარდენისგან" იწვნიეს გაუთვალისწინებელი მარცხი, რომელმაც ისინი სამეულს მიღმა დატოვა. ახლა კი თსუ-მ ჯავრი იყარა.

8 თებერვალი

### დინამო 80:56 კოლხა

დინამო: მაისურაძე (14), ბერია (6), შანიძე (12), კილაძე (10), ქევხიშვილი (6); ჩიქოვანი (11), თორთლაძე (14), ნინიაშვილი (5), მეჭურჭლიშვილი (2)

კოლხა: არველაძე (2), ქვილითაია (3), კვაჭაძე (8), აბულაძე (14), ცქიტიშვილი (20); ქარუმიძე (5), ბერიშვილი (2), თოდუა, უგრეხელიძე (2), ვაშაკიძე

### აზოტი 102:70 დინამო 2

აზოტი: გაბისონია (6), გოგობერიშვილი (32), ჯიმშელეიშვილი (4), ბერუაშვილი (27), ბოისა (18); კიკვიძე (1), კოჭლამაზაშვილი (4), ჩაჩუა (7), გოგოლაძე (2), ხაიაური (1)

დინამო 2: ვეფხვაძე (15), ხეცურიანი (8), გრძელიშვილი (3), ფსუტური (8), მანველიშვილი (16); მშვილდაძე (6), ნოზაძე, უჩუმბეგაშვილი (5), მეგრელაძე (9)

ახალგაზრდა დინამოელები პირველი ათი წუთის განმავლობაში თანაბრად ეთამაშნენ ლიდერს, მაგრამ გოგობერიშვილმა მოჰკიდა საქმეს ხელი და რაღაც ორ-სამ წუთში „აზოტი" 11 ქულით დაწინაურდა. „აზოტს" მატჩის ბოლომდე პრობლემები აღარ შექმნია და ზედიზედ მეოცედ მოიგო.

### ასკ 84:79 სტუ

ასკ: დ. მოისწრაფიშვილი (9), ჭყონია (10), ჩხაიძე (13), თაბუაშვილი (2), მინაშვილი (17); მჭედლიშვილი, აკულაშვილი, ქართველიშვილი (7), პაპასკირი (8), ა. მოისწრაფიშვილი (2)

სტუ: დ. ბერიშვილი (22), ი. ბერიშვილი (17), ნოზაძე (9), ხარაძე (15), სუხიშვილი (3); ლასარეიშვილი (4), გიგაშვილი (2), ლომიძე (2), სპარსიაშვილი (5)

სტუდენტებისთვის, რომლებიც რვა უძლიერეს შორის მოხვედრას ისწრაფვიან, ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არმიელებმა არ მისცეს მათ მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 20 | 20 | 0 | 2103:1564 | 40 |
| დინამო | 20 | 16 | 4 | 2024:1593 | 36 |
| ვითა | 19 | 16 | 3 | 1746:1575 | 35 |
| სდასუ | 19 | 15 | 4 | 1830:1423 | 34 |
| თსუ | 20 | 15 | 5 | 1898:1655 | 35 |
| ასკ | 20 | 11 | 9 | 1710:1896 | 31 |
| შევარდენი | 19 | 9 | 10 | 1648:1680 | 28 |
| მაკაბი | 20 | 8 | 12 | 1644:1717 | 28 |
| სტუ | 19 | 6 | 13 | 1556:1703 | 25 |
| დინამო 2 | 19 | 6 | 13 | 1463:1703 | 25 |
| კოლხა | 19 | 1 | 18 | 1479:1762 | 20 |
| რიონი | 17 | 2 | 15 | 1162:1652 | 19 |
| მერანი | 19 | 0 | 19 | 1270:1940 | 19 |

# რევაზიშვილმა ფრანგებს «დიდება» დააძალა

**მერაბ რატიშვილი პარიზიდან**

პარასკევი, 6 თებერვალი

პარიზის საერთაშორისო ტურნირი უდავოდ უძლიერესია ევროპაში გამართულ ყველა მსგავს შეჯიბრებას შორის. მეტიც, მნიშვნელობით იგი ძიუდოს ფუძემდებლის — ძიგორო კანოს მემორიალსაც უტოლდება და, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სჯობს კიდეც. თუმცა, ამის თაობაზე ფაქტები უკეთ მეტყველებენ — წლევანდელ შეჯიბრებაში 59 ქვეყნის გუნდი მონაწილეობს — 282 მონაწილე ვაჟია, 181 — ქალი.

ქართველმა ძიუდოისტმა ეს ტურნირი ბოლოს 1991 წელს მოიგო — ეს საქართველოს ნაკრების დღევანდელმა მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ და წლევანდელ ტურნირზე მსაჯად ჩამოსულმა ამირან ტოტიკაშვილმა შეძლო. 70-იან წლებში იგივე შენგელი ფიცხელაურმაც მოახერხა. აქამდე ეს იყო, ამიერიდან კი მათ რიგებს გიორგი რევაზიშვილიც მიემატა.

რევაზიშვილი (66 კგ) ტურნირზე ფავორიტად ჩამოვიდა და როგორც ამ რანგის კაცს შეშვენის, ისე იჭიდავა. 6 შეხვედრიდან 5 წმინდად მოიგო, თანაც ისე, რომ ერთხელაც არ დაუგდიათ და, შესაბამისად, ქულაც არ დაუკარგავს. პირველ ორ მეტოქეს ლიბანელ სალიმსა და შვედ პეტერსონს წუთზე ნაკლებ დროში მოუღო ბოლო — პირველს მოგვერდი გაუკეთა, მეორე ფეხიდან აიყვანა. მესამე მეტოქეს, პორტუგალიელ ნელსონ ბრაშს კი ზუსტად ერთი წუთი დაახარჯა: ჯერ ფეხიდან აგლიჯა და იუკო მიითვალა, შემდეგ პორტუგალიელმა დგომი შეცვალა და წამსვე ჯღანას ამოსმულის მსხვერპლიც შეიქნა. ტანმაღალი ბელგიელი პასკალ ბრეიერი თითქოსდა უხერხული მეტოქე უნდა ყოფილიყო რევაზიშვილის ყაიდის ძიუდოისტისთვის, მაგრამ ჩვენებურის ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა: ორი, ტყუპისცალივით ფანდი — ფეხიდან აყვანა წინ გადატრიალებით და ორი ვაზირი, რაც წმინდა გამარჯვების ტოლფასია.

ნახევარფინალში ჯღანას ფრანგი გრეგორ ლერუ ელოდა. ჩვენებურს ყველაზე დიდი ჯაფა აქ დაადგა, თუმცაღა მეტად გონივრულად იჭიდავა და შეხვედრა მშვიდად დაასრულა გამარჯვებით. ფრანგი ფეხს არ ანებებდა რევაზიშვილს, ამან კი მეორე მხრიდან შეუტია და მოგვერდით ვაზარი მიითვალა. შემდეგ კი უპირატესობის შენარჩუნება ირჩია და გააფთრებულ ლერუს აღარაფერი დაანება.



გიორგი რევაზიშვილი

რჩებოდა ფინალი და კვლავ ფრანგი ფრანკ ბელარი. ამ დღეს ფრანგები ოქროს მედლის გარეშე რჩებოდნენ და ბელარი მათი ბოლო იმედი იყო. შესაბამისად, მსაჯების ყურადღება და მზრუნველობაც გარანტირებული ჰქონდა. შეხვედრა ასეც დაიწყო — ჯღანა ცუდუბრალოდ გააფრთხილეს, მაგრამ ეს ჩამორჩენა მან კოკათი სწრაფადვე გაქვითა. დაახლოებით შუა შეხვედრაში რევაზიშვილმა ფეხიდან აყვანილი მეტოქე წინ დაატრიალა და ალალი იპონის ნაცვლად ვაზარი დაიმსახურა. მან ფრანგს თავისი ჭიდაობა მოახვია თავს და უმოწყალოდაც დაჩაგრა. მსაჯებმა ერთი შანსიც მისცეს ბელარს და ჯღანა არასწორი ჩავლებისთვის ჩუით გააფრთხილეს.

მალე ყველაფერი დამთავრდა — რევაზიშვილმა ტატამის კიდეზე დააგდო ფრანგი და კიდევ ერთი ვაზარიც დაიმსახურა. ცოტა ხანში კი პიერ კუბერტენის სახელობის დარბაზში ჩვენი ქვეყნის ჰიმნი აჟღერდა (ალბათ, პირველადაც). სხვათა შორის, 1979 წელს ამავე დარბაზში თემურ ხუბულურმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ნესტორ ხერგიანს (60 კგ) კი ხელი მოეცარა. თავიდან იტალიელმა ოლიმპიურმა პრიზიორმა ჯოვანაცომ შებოჭა, შემდეგ კი ფრანგმა ჟირარდეიმ მოუგო და ხერგიანმაც შეწყვიტა ასპარეზობა.

### ტექნიკური შედეგები

კაცები

**60 კგ: 1. კაზუჰიკო ტოკუნო (იაპონია); 2. იუმ დონ კონი (კორეა); 3. ერიკ დესპეზელი (საფრანგეთი) და ჯიროლამო ჯოვანაცო (იტალია)**

**66 კგ: 1. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო); 2. ფრანკ ბელარი (საფრანგეთი); 3. რაშად მამედოვი (ბელარუსი) და მაგომედ ჯაფაროვი (რუსეთი)**

ქალები

**70 კგ: 1. სიბელის ვერანესი (კუბა); 2. ილენია სკაპინი (იტალია); 3. საკი იოშიდა (იაპონია) და კარინ კინჰუიზე (ჰოლანდია)**

**78 კგ: 1. დიადენის ლუნა (კუბა); 2. ლუჩია მორიკო (იტალია); 3. იუკო ტონუკა (იაპონია) და ჰაიდი რაკელსი (ბელგია)**

**მძიმე: 1. ბრიჟიტ ოლივიე (ბელგია); 2. ბელ პოტელი (საფრანგეთი); 3. მიჰო ნინომია (იაპონია) და სვეტლანა გუნდარენკო (რუსეთი)**

შაბათი, 7 თებერვალი

ამ დღეს ჩვენებიდან გია წმინდაშვილი (81 კგ) გამოდიოდა და პირველსავე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას: ფრანგმა ბერტრან დამასინმა იუკო აართვა და ჩუით გააფრთხილებინა. წმინდაშვილი ბოლო წუთზელა გამოფხიზლდა, ერთი იუკო კი გაქვითა, მაგრამ მეტი ველარა შეიძლო. ფრანგის წაგების გამო ჩვენებურმა ბრძოლა ველარ გააგრძელა.

### ტექნიკური შედეგები

კაცები

**73 კგ: 1. ჯეიმს პედრო (აშშ); 2. კენძო ნაკამურა (იაპონია); 3. კრისტოფ მასინა და კრისტოფ გალიანო (ორივე საფრანგეთი)**

**81 კგ: 1. სერხიო დომენეჩი (ესპანეთი); 2. კარენ ბალაიანი (უკრაინა); 3. დავიდ ინკელი და სტეფან ნომი (ორივე საფრანგეთი)**

ქალები

**63 კგ: 1. ნამი კიმოტო (იაპონია); 2. სარა ალვარესი (ესპანეთი); 3. ამინა აბდელატიფი (საფრანგეთი) და ვანია იშიი (იაპონია)**

**57 კგ: 1. დრიულის გონსალესი (კუბა); 2. იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი); 3. მარისაბელ ლომბა (ბელგია) და კარინ პეტი (საფრანგეთი)**

გუშინ რამაზ ჩოჩიშვილმა მე-5 ადგილით დაასრულა ასპარეზობა, გია გუგავაც და ივერი ჯიქურაულიც საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ.



# ბორბალი ბორბალს შეასკდა

გასულ კვირას ფორმულა I-ის გუნდების უმეტესობა ტესტებს ატარებდა ბარსელონის „მონტმელოს“ ტრასაზე. კვირის პირველ დღეებში საუკეთესო ბენეტონელი ფიზიკელა გახლდათ — 1.36,87. „ბრიჯსტოუნის“ საბურავებში „გამოწყობილი“ „ბენეტონი“ ოდნავ უფრო სწრაფი აღმოჩნდა „მაკლარენის“ დუეტზე, რომელიც ასევე იაპონური საბურავებით ასპარეზობდა. „ბრიჯსტოუნის“ მოწინავეთა შორის გამოჩენამ დაადასტურა, რომ იაპონელებს სერიოზული მიზნები აქვთ. ამავე დროს გავრცელდა ჭორიც, რომ ამ ორმა მოწინავე გუნდმა „ბენეტონმა“ და „მაკლარენმა“ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდეს იაპონელებს და სწორედ ამან გამოიწვია მათი წარმატება. „ბრიჯსტოუნის“ ტექნიკურმა დირექტორმა ჰიროჰიდე ჰამაშიმამ სასწრაფოდ უარყო ეს და განაცხადა, რომ მათი ორი ახალი კლიენტი სრულად იცავს 1997 წლის კონტრაქტის მოთხოვნებით გათვალისწინებულ ინფორმაციის კონფიდენციალობას. ასეა თუ ისე, „გუდიარის“ კლიენტებს საფიქრალი გაუჩნდათ. მაგრამ კვირის ბოლოს ისინი დაამშვიდა: საუკეთესო დრო 1.23,40 „უილიამსის“ პილოტმა ფრენცენმა აჩვენა და ორი მეათედი წამით გააუმჯობესა ზამთრის ტესტების რალფ შუმახერისეული რეკორდი. თუმცა, მეორე შედეგი ფიზიკელასი იყო 1.24,22, რითაც დამტკიცდა, რომ ახალი „ბენეტონი“ და „ბრიჯსტოუნი“ ბევრით არ ჩამოუვარდებიან მეტოქეებს.



## რეგულარული ჩემპიონატი

**ტამპა — დეტროიტი 4:5**

**შაიბები: აიზერმანი 13 (0:1), ერიქსონი 7 (0:2), კროსი 2 (1:2), აიზებერტი 7 (2:2), ბონსინიორე 1 (3:2), კოზლოვი 17 (3:3), კოზლოვი 18 (3:4), რენბერგი 9 (4:4), უორდი 5 (4:5)**

პირველი პერიოდი სხვადასხვა ლიგის წარმომადგენელთა პაექრობას მოგვაგონებდათ. მასპინძლები ერთობ უსუსურად გამოიყურებოდნენ და თავიანთი ზონიდან გასვლას ვერ ახერხებდნენ, ჩემპიონი კი მშვიდად აკეთებდა თავის საქმეს. არავინ იცის, როგორ დამოძღვრა შესვენებაზე ტამპას მწვრთნელმა გამოჯანმრთელებული აიზერმანისა (1+2) და ახალბედა ერიქსონის გოლებით შეფუცხუნებული მასპინძლები, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდმა მეორე მესამედში სრულიად იცვალა სახე და ათი წუთის განმავლობაში დეტროიტელთა კართან ნამდვილი შტურმი მოაწყო. ამის შემდეგ უკვე ტამპა დაწინაურდა, რამაც „წითელფრთიანები“ აიძულა, ამოქმედებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა უცაბედი გოლი გაიტანეს (შაიბა აიზერმანის ციგურიდან შევარდა კარში), ჩემპიონმა ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვა და მძიმე, თუმცა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

# სელიანე — ფინური დანა



სანხოსელ რიჩ ბრენანს კალგარელი კორი სტილმანი ძალისმიერი ილეთით დაუხვდა

**4 თებერვალი. კაროლინა — ტამპა 3:3, პიტსბურგი — ვაშინგტონი 2:2, ბუფალო — ბოსტონი 2:2, აილენდერსი — მონრეალი 4:2, ნიუ ჯერსი — ოტავა 2:0, ტორონტო — სენტ ლუისი 3:2, დალასი — ფილადელფია 1:0, ედმონტონი — სან ხოსე 0:3, ანაჰაიმი — რეინჯერსი 3:2.**

**5 თებერვალი. ბოსტონი — სენტ ლუისი 1:3, ოტავა — ტორონტო 3:2, კოლორადო — ჩიკაგო 4:2, ფინიქსი — ფილადელფია 2:6, კალგარი — სან ხოსე 4:2, ლოს ანჯელესი — რეინჯერსი 3:1.**

ფინელი ტეემუ სელიანე უეჭველად, თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ანაჰაიმის სნაიპერს თავისი საუკეთესო მეგობრისა და პარტნიორის პოლ კარიას დახმარება ერთობ აკლია, მისმა ზუსტმა დარტყმებმა თითქმის ყველა კლუბის მეკარე აზარალა. ოთხშაბათს ტეემუ კვლავ მარტო იყო (კარია დაშავდა), მაგრამ მისი შეჩერება ამჯერადაც შეუძლებელი გახლდათ. სელიანემ სამივე გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო და მორიგი ორი შაიბით თავისი სნაიპერული მონაგარი 41-მდე გაზარდა. განსაკუთრებით ლამაზი იყო სოლო რეიდის შემდეგ გატანილი მისი მეორე გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „იხვებს“. აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკში, ამ გუნდების პირველ შეხვედრაში სელიანემ ჰეთ-თრიქი შეასრულა და ამჯერადაც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ „რეინჯერთა“ მეკარე კლოტიემ შეძლო მისი გარღვევის განეიტრალება. ფინელმა ბოლო 7 თამაშში 8 გოლი და 9 პასი მიითვალა. ასევე კარგად ირჯება ანაჰაიმის მეკარე ჰებერი — ბოლო 5 მატჩია, იგი 40 და მეტ დარტყმას იგერიებს.

მეორე დღეს ნიუიორკელები ვერც ლოს ანჯელესს შეებრძოლნენ — 2 გოლი მათმა ყოფილმა პარტნიორმა, ვეტერანმა რას კურტნოლმა გაიტანა. რეინჯერსის მუდმივმა კონკურენტმა აილენდერსმა ამით უმალ ისარგებლა და საახალწლო მარცხისთვის მონრეალზე ჯავრი იყარა. უნდა ითქვას, რომ კანადელებმა ბოლო 10 საგარეო მატჩიდან 8 მოიგეს და არც ნიუ იორკში აპირებდნენ იღბლიანი სერიის შეწყვეტას, მაგრამ აილენდერსელებმა გაუძლეს მატჩის დასაწყისში სტუმართა შემოტევას, შემდეგ კი სმოლინსკიმ (11) და პალფიმ (3) გადამწყვეტი გოლები გაიტანეს.

ერთბაშად რამდენიმე გუნდს ორ დღეში ორი მატჩის ჩატარებამ მოუწია და ვერც ერთმა შეძლო 50-პროცენტიანი შედეგის გადალახვა. მაგალითად, სან ხოსემ ედმონტონში „მშრალად“ მოუგო მასპინძლებს, მას მერე კი, რაც სტუმრებმა 3 შაიბა შეაგდეს (ერთ-ერთი მათგანი უმძიმესი ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა ბარმა მიითვალა), დაცვაში „ჩასხლნენ“ და ბოლო პერიოდში არც ერთი დარტყმა არ განახორციელეს. მეორე დღეს კი კალიფორნიელები კალგარის ვერ გაუმკლავდნენ. გადამწყვეტი გოლები „ალებების“ ლიდერმა ფლერიმ (1+1, 18) ჩაუყარა საფუძველი.

ცალკე უნდა ითქვას ფილადელფიაზე. „მფრინავებს“, რომელთაც სპეციალისტები თასის ფინალში გასვლას უწინასწარმეტყველებენ, მეტად უჭირთ დასავლეთის გრანდებთან ბრძოლა. დალასში ფილადელფიამ კარგად ითამაშა, მაგრამ მინიმალური ანგარიშით დამარცხდა (ისევე, როგორც ათი დღის წინ დეტროიტში). ამის მიზეზი კი „ვარსკვლავთა“ სათადარიგო მეკარე ტურეკა, რომელსაც სახელოვან ბელფორთან კონკურენციის გამო იშვიათად უწევს ყინულზე გამოსვლა და როცა ამის საშუალება ეძლევა, თავს არ ზოგავს ხოლმე.

სხვათა შორის, ეს „მფრინავთა“ ზედიზედ მეოთხე მარცხი იყო და გამწარებულმა ფილადელფიამ მერე ფინიქსი იმსხვერპლა. მწვრთნელებმა კვლავ შეაამხანაგეს წამყვანი თავდამსხმელები — ლინდროსი და ლეკლერი, პარტნიორად კი მათ ახალწვეული დეიგლი ჰყავდათ და, მოულოდნელად, სამეული ათამაშდა. ლეკლერმა (2+1, 37) ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დუბლი გააკეთა, დეიგლის ანგარიშზე კი 3 ზუსტი პასია. ლინდროსმა 3 (1+2) ქულა დააგროვა და, ცხადია, „კოიოტები“ განწირულნი იყვნენ.

ასევე ერთი მოგება და ერთი წაგება მიითვალეს ოტავამ, სენტ ლუისმა და ტორონტომ. ტორონტოელთა შვედმა ფორვარდმა მოდინმა, კარიერაში პირველად, 2 მატჩში 3 გოლი გაიტანა, მაგრამ თუ „ბლუზმენებთან“ მისი შაიბა გადამწყვეტი აღმოჩნდა, ოტავაში დუბლმაც არ იკმარა, რადგან კვლავ საუცხოოდ ითამაშა „სენატორთა“ ლიდერმა იაშინმა (1+1, 24).

თუმცა, ვერც იაშინმა და ვერც მისმა პარტნიორებმა ვერაფერი მოუხერხეს ნიუ ჯერსის მეკარე ბროდოს, რომელმაც სამი დღის განმავლობაში ორჯერ „მშრალად“ წააგებინა ოტავას. მართალია, კანადელებმა ამჯერად მხოლოდ 19-ჯერ შეაწუხეს „ეშმაკთა“ კარის დარაჯი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს ბროდოს გარჯას. ისე კი, ოტავას წელს უკვე მე-9 მატჩში ვერ გაუტანია გოლი, რაც კლუბის ისტორიაში პირველი შემთხვევაა.

როცა კოლორადოს ლიდერები — ფორსბერგი და საკიკი ფორმაში არიან, „ეველანშის“ მეტოქეებს არაფერი შველით ხოლმე. მესამე პერიოდში, 1:1-ზე, სწორედ საკიკმა (24) დააწინაურა თავისიანები, შვედმა (1+1, 20) კი განამტკიცა წარმატება.

სამაგიეროდ, პიტსბურგის ლიდერებმა ვერ დაჯაბნეს ვაშინგტონის მეკარე კოლციგი (34 მოგერიება). მხოლოდ იაგრმა (24) მოახერხა ერთხელ მისი მოტყუება, მაგრამ ამან დედაქალაქელებს ქულა ვერ დააკარგვინა.

**სამველ ლარიბიანი**

*დარტყმების რეალიზაცია:* კოროლიოვი (ტორონტო) 21,4 პროცენტი; ელისონი (ბოსტონი) 21,3; სელიანე (ანაჰაიმი) 20,3; ნუინდაიკი (დალასი) 19,8; ბონდრა (ვაშინგტონი) და ხრისტიჩი (ბოსტონი) 19,3; ტკაჩუკი (ფინიქსი) 18,7

მეკარეები

*„მშრალი“ მატჩები:* ბელფორი (დალასი) და ჰაშეკი (ბუფალო) 7, ბარასო (პიტსბურგი) და ბროდო (ნიუ ჯერსი) 6

*საშუალოდ ერთ მატჩში გაშვებული გოლების ოდენობა:* ბროდო (ნიუ ჯერსი) 1,75; ბელფორდი (დალასი) 1,93; ჰექსტოლი (ფილადელფია) 1,95; ბარასო (პიტსბურგი) 2,08; ოსგუდი (დეტროიტი) 2,09; ჰეკეტი (ჩიკაგო) 2,11; დაფო (ბოსტონი) 2,21; ტაგნატი (ოტავა) 2,26

# დაცვას მიხედე, კინენო, დაცვას...

მიუხედავად იმისა, რომ ვანკუვერი ამ დღეებში ისვენებდა, კანადის კლუბი და მისი მწვრთნელი კინენი კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ. ამის მიზეზი დაუღლელი „რკინის მაიკის“ მიერ განხორციელებული მორიგი საკადრო ცვლილებებია, რომლებიც ერთი შეხედვით მეტად საეჭვო ღირებულებისაა. თავად განსაჯეთ: ვანკუვერმა, მომავალი დრაფტის მეხუთე რაუნდში არჩევნის უფლების ფასად, მიიწვია ნიუ ჯერსის ვეტერანი პიტერ ბებელი (კარიერაში 807 მატჩი, 208 გოლი და 369 პასი), რომელსაც თავის ყოფილ გუნდში ადგილი ველარ მოეძებნა. თავის მხრივ, კანადელები ფილადელფიისგან მონიჭებულ ამ უფლებას იმავე დრაფტის მეექვსე [illegible] გამოიყენებენ, სამაგიეროდ, მას საკმაოდ შედეგიანი ფორვარდი მაიკ სელინჯერი (10 გოლი და 9 პასი) დაუთმეს. მანამდე კი ვანკუვერმა ბუფალოს გადაულოცა ახლახან კაროლინიდან მიწვეული ჯეფ სენდერსონი, რომელსაც წელს რატომღაც არ მისდის საქმე, მის ნაცვლად კი „მეომარი“ ბრედ მეი მიიღო. საინტერესოა, რომ ყველა გაცვლილი ჰოკეისტი თავდამსხმელია, მაშინ, როცა ვანკუვერში ყველაზე მეტად დაცვა მოიკოჭლებს, კანადელებმა ხომ ყველაზე მეტი, 196 გოლი გაუშვეს.



მაიკ კინენი დიდ საგონებელში



მარკ ფილიპუსისი

# დევისის თასს მონაწილეები შემოეცალა

დევისის თასის 1998 წლის გათამაშება ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მსოფლიოს რამდენიმე საუკეთესო ჩოგბურთელმა უკვე უარი თქვა მასში მონაწილეობაზე. პირველმა თავი ბერძნული წარმოშობის ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა გამოიჩინა, რომელმაც 3-5 აპრილს ზიმბაბვეს წინააღმდეგ ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვას ოჯახურ წრეში ყოფნა არჩია. ავსტრალიელთა კაპიტანმა, ლეგენდარულმა ჯონ ნიუკომბმა განაცხადა, მარკი ამ სეზონში თამაშზე უარს ამბობს, მაგრამ 1999 წელს მოუთმენლად დაელოდებაო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, „სკადს“ მთელი წლის გამოტოვება ფიქრადაც არ გაუვლია, მისი მენეჯერის, რობ აივათოღლუს (ძირს საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტი!) თქმით, მარკს მხოლოდ პირველი ორი წრიდან გათავისუფლება სდომებია, ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში კი სიამოვნებით დაეხმარებოდა გუნდს. „ნიუკომბმა ალბათ, გადაწყვიტა, რომ თუ თავიდანვე არ ითამაშებ ნაკრებში, არა გაქვს უფლება მერე შეუერთდე მას. თუმცა პირველ ორ წრეში თამაშზე უარი სხვებსაც უთქვამთ, მაგალითად, პიტ სამპრასს“ — განუცხადა პრესას აივათოღლუმ. ასე თუ ისე, ზიმბაბვეს ავსტრალიელები შემდეგი შემადგენლობით უმასპინძლებენ — პატრიკ რაფტერი, ჯეისონ სტოლტენბერგი, ტ... ვუდბრიჯი, მარკ ვუდფორდი, სკოტ დრეიპერი და 16 წლის დებიუტანტი — ლეიტონ ჰიუიტი. ზიმბაბვეს კი ნაკრებში სულ ორი კაცი ეყოლება — ძმები, ბაირონ და უეინ ბლექები.

თუ ფილიპუსისის საქციელი ბევრისთვის მოულოდნელი იყო, გორან ივანიშევიჩი დევისის თასის ბოიკოტით ჯერ კიდევ ოქტომბერში იმუქრებოდა, როცა ხორვატიის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დანიშნულმა სვად რიზვანბეგოვიჩმა კაპიტნობიდან გორანის მეგობარი შაშა ფრანულოვიჩი გაათავისუფლა და მის ნაცვლად გორან პრპიჩი დანიშნა. ივანიშევიჩი იმუქრება, დევისის თასზე მანამ არ ვითამაშებ, სანამ რიზვანბეგოვიჩი თანამდებობიდან არ გადადგებაო. ასე რომ, ხორვატიას ფინეთის წინააღმდეგ ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელები — ივან ლუბიჩიჩი, ზელიკო კრაიანი, ივიკა ანჩიჩი და საშა ჰირზონი წარმოადგენენ.

ფილიპუსისსა და ივანიშევიჩს მხარი ავსტრიელმა ტომას მუსტერმაც აუბა, აპრილში ისრაელში ჩამსვლელი არა ვარ, კლასიფიკაციაში მდგომარეობა უნდა გამოვასწოროო. მუსტერმა, რომელიც ორიოდე წლის წინ თიხნარზე ბატონობის ხარჯზე ერთი ხანობა მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, შეეცადა დაემტკიცებინა, სხვა საფარზეც არ ვარ ჯაბანიო და ჰარდზე ბობოლა ტურნირებიც მოიგო, თუმცა ამასობაში თიხნარზე მთლად მოეცარა ხელი. ამჟამად მუსტერი კლასიფიკაციაში მეთხუთმეტე ადგილზეა და ძველი პოზიციების დაბრუნებას ისევ მშობლიურ საფარზე აპირებს, ATP-ის ქულებში საშინელი მდგომარეობის გამო იძულებული ვარ, დიდი სათიხნარო ტურნირებისთვის მოვემზადო, ებრაელებს კი შეხვედრა ჰარდზე დაუგეგმავთო.

ბოლოს კი დევისის თასს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა — პიტ სამპრასმა უმუხთლა, რომელმაც ამ უქმეებზე გამართულ ტელეკონფერენციაზე განაცხადა, ჩვენ კაპიტანს — ტომ გალიქსონს უკვე შევატყობინე, რომ პირველ ორ წრეში არ ვითამაშებო. სამპრასმა დევისის თასის შარშანდელ ფინალში ქუსლის საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც საშობაო არდადეგები მკურნალობაში გაატარა — „რა თქმა უნდა, ჩემი გადაწყვეტილება იმ ტრავმითაცაა განპირობებული. წლეულს მიზნად კლასიფიკაციაში პირველობის შენარჩუნება და დიდი სლემის ტურნირის მოგება მაქვს დასახული, დევისის თასი კი ამ გეგმების განხორციელებაში ხელს ვერ შემიწყობს“. სამპრასს თურმე ავსტრალიის ახლახან დამთავრებული პირველობის გამარჯვებულის — ჩეხი პეტერ კორდას კონკურენციაც აწუხებს, სულაც არ გამიკვირდება, პირველობა დროებით რომ ჩამომართვასო: „ყველამ ვიცით, რომ იმ შესანიშნავი ჩოგბურთელია და ამჟამად საკუთარ ძალებში მეტად დარწმუნებულიც, თუმც წლის ბოლოს პირველი რომ გახდე, ორი კვირის განმავლობაში კარგი თამაში არაა საკმარისი, მთელი სეზონი უნდა ჩაატარო მაღალ დონეზე. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ამას კორდა“. სხვათა შორის, დევისის თასზე ასპარეზობაზე უარი ჩეხმა ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში განაცხადა.

სამპრასის უარმა აშშ-ის კაპიტანი — ტომ გალიქსონი, ეტყობა, საკმაოდ გაანაწყენა, რაკილა მეორე დღეს უთქვამს, ხვეწნას არავის დავუწყებო. სამაგიეროდ, გალიქსონმა გუნდში პიტის ერთ-ერთი მთავარი მოქიშპე — შარშანდელი კატასტროფული სეზონის შემდეგ გამოსწორების გზაზე მდგარი ანდრე აგასი მიიწვია. „ანდრე მონაწილეობას ჯერ არ შემპირებია, მაგრამ სერიოზულად ფიქრობს ამაზე. იგი ჩვენი გუნდის ლიდერი იყო წლების განმავლობაში და ახლაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია“ — განაცხადა გალიქსონმა. აგასი, რომელსაც დევისის თასზე აგერ უკვე 15 მატჩია, არ წაუგია, ერთ-ერთი გუნდის გამარჯვების შემდეგ უაზროდ ქცეული მატჩების ჩატარების წინააღმდეგი იყო და სწორედ მისი დამსახურებაა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა ასეთი თამაშები ხუთიდან სამ სეტიანამდე რომ შეამცირეს. ამერიკელთა კაპიტანს არჩევანი დიდი არა აქვს — მაიკლ ჩანგი კრიზისში იმყოფება, ჯიმ კურიეს ტრავმა აქვს, ასე რომ, ატლანტაში რუსებს აგასისთან ერთად, ალბათ, ტოდ მარტინი, კრის ვუდრაფი, ალექს ობრაიენი და ჯონათან სტარკი დაუხვდებიან.

ავთანდილ სვანიძე

# დევენპორტს ჰინგისი მეპატარავება

ტოკიო. იაპონია. „პენ პასიფიკ ოუფენ“. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე საპრიზო ფონდი 926250 $

**მეორე წრე: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:2, 6:2; რიტა გრანდე (იტალია) — მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) 1:6, 6:3, 6:3; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — სამანტა რივზი (აშშ) 6:4, 6:4; მიჰო საეკი (იაპონია) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:4, 7:6 (7:4); აი სუგიამა (8, იაპონია) — იუკა იოშიდა (იაპონია) 6:1, 7:6 (7:1).**

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — რიტა გრანდე 6:2, 7:5; ლინდსი დევენპორტი — ირინა სპირლეა (5, რუმინეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:5); ამანდა კუტცერი — აი სუგიამა 6:3, 2:6, 6:2; ივა მაიოლი (4, ხორვატია) — მიჰო საეკი 6:2, 6:1.**

ლინდსი დევენპორტმა მეორე წრეში იაპონელი ნაოკო სავამაცუს ძლევის შემდეგ განაცხადა, ფინალში ჰინგისთან შეხვედრაზე ვოცნებობო: „იგი ჯერჯერობით ყველაზე სტაბილურია, მაგრამ თანდათან მეც ვაუმჯობესებ თამაშს და ვგრძნობ, რომ ნებისმიერი ტურნირის მოგება შემიძლია“. მეოთხედფინალში ლინდსის გაცილებით მძიმე გამოცდა ელოდა — უილიამსებისგან დაბრიყვებულმა რუმინელმა ირინა სპირლეამ დონდლო ამერიკელს დიდი ბრძოლა გაუმართა, აურაცხელი მატჩ-პოინტებიც გადაარჩინა, მაგრამ საბოლოოდ ორი ტაიბრეიკის შემდეგ ნახევარფინალის საგზური მაინც დევენპორტს გადაულოცა. მარტინა ჰინგისი, რომელსაც წინა კვირაში, ავსტრალიის ღია პირველობაზე გრიპი შეხვდა, ჯერაც ვერ გამოჯანმრთელდა და ნაკლებადცნობილ რიტა გრანდესთან შეხვედრაში უამრავი ორმაგი თუ უნებლიე შეცდომა დაუშვა, მაგრამ იტალიელმა ამით მაინც ვერ ისარგებლა და მსოფლიოს პირველ ჩოგანს როლან გაროსის ჩემპიონ — ხორვატ ივა მაიოლისთან შესახვედრად გზა გაუხსნა.



ლინდსი დევენპორტი

სპლიტი. ხორვატიის ღია პირველობა. ტარდება ხალიჩაზე დარბაზში საპრიზო ფონდი 400 ათასი $

**მეოთხედფინალი: გორან ივანიშევიჩი (2, ხორვატია) — ირჟი ნოვაკი (7, ჩეხეთი) 7:6 (7:5), 7:6 (11:9); მარკ როსე (5, შვეიცარია) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2, 6:2; მარტინ ზინერი (ავსტრია) — კენეტ კარლსენი (დანია) 5:7, 6:3, 7:6 (7:0); გრეგ რუზეცკი (1, ინგლისი) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:1, 6:4.**

მარსელის ღია პირველობა. საფრანგეთი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე საპრიზო ფონდი 540 ათასი $

**მეოთხედფინალი: რიჩარდ კრაიჩეკი (2, ჰოლანდია) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 4:6, 6:4, 6:4; ტომას ენკვისტი (6, შვედეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:2, 1:6, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:4; მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) — არნო ბიოჩი (საფრანგეთი) 4:6, 6:0, 7:6 (7:2).**

ავთანდილ სვანიძე

## ხუთი ერი

1 ტური. 7 თებერვალი
პარიზი. სტად-ფრანსი (78 800 მოსეირე)

**საფრანგეთი 24 (15) (2ლ: ბერნასალი, დომინისი; გ და 2ს: ლამეზონი; 2ა: კასტენიედი, სადურნი) — ინგლისი 17 (3) (ლ: ბეკი; 4ს: გრეისონი)**

### პირნათლად აღასრულეს

ფრანგებმა გამარჯვებით გახსნეს ახალი ეროვნული სტადიონი. გალების მწვრთნელმა ჟან-კლოდ სკრელამ ნამატჩევს შენიშნა, ერთი მისია გვეკისრებოდა — უნდა მოგვეგო და იგი პირნათლად ალვასრულეთო.

საფრანგეთმა ზედიზედ მეოთხედ ძლია ინგლისი, რომელიც დეკემბერში ზელანდიასთან ფრედ დასრულებული თამაშის შემდეგ ფავორიტად მიიჩნეოდა, ფრანგებს კი სამხრეთ აფრიკასთან უიმედოდ წაგების გამო სათვალავში აღარავინ აგდებდა, მით უფრო, თუ ნახევარი გუნდი შეეცვალათ.

ინგლისი მე-3 წუთზე დაწინაურდა. მალე მასპინძლების გარემარბებმა ორი ბარაქიანი ლელო გაიტანეს. სტუმრებმა ძველი ზნე გაიხსენეს და გარჯით მოპოვებულ ბურთს ფეხით მალიმალ ანიავებდნენ.

მეორე ნახევარში ინგლისმა ძალისმიერი ლელო გაიტანა და სხვაობა ორჯერ შეამცირა ოთხამდე, მაგრამ ფრანგებმა შემტევი პოზიციის ქულებად ქცევის მუხთალი ხერხი — არეკნი გაიხსენეს და ახლოს აღარ გაიკარეს ინგლისი, რომელიც ბოლოსლა გადავიდა ხელით ბურთაობაზე.

ირლანდია დუბლინში 16:17 დამარცხდა შოტლანდიასთან, თუმცკი ბოლო მეოთხედის წინ 5 ქულით იგებდა. იტალიამ, ვინაც პირველობაში ოფიციალურად 2000 წლიდან ჩაებმება, ირლანდიისა და შოტლანდიის სკალპებს უელსისა ვეღარ შემატა — ბრიტებმა შინ, ჰლანეჰლიში 23:20 მოუგეს ლათინებს. თამაში, მეტადრე კი მისი პირველი ნახევარი, ერთობ ულიმღამო ყოფილა.



# ხალხო, ნუ შეგვიკურთხებთ

ნურც „სარბიელსა“ და ნურც ტელერადიო-კომპანია „VII არხს“, შაბათ საღამოს თბილისის ერთბაშად სამი უბნის რაგბისა და საზოგადოდ სპორტის ქომაგებმა არათუ პირდაპირ, საერთოდაც რომ ვერ უცქირეთ „ხუთი ერის“ თამაშებს.

ღმერთი რჯული, ბრალი არც ჩვენ მიგვიძღვის და არც ერთადერთ ქართულ საკაბელო სისტემას, რაგბს მუდამ რომ წყალობსა და ქომაგობს. ჩვენ ვიზრუნეთ, ინტერნეტის უებ-საიტ www.startv.com-ზე აზიური თანამგზავრული ტელევიზია „სტარ ტი-ვის“ სპორტული არხის პროგრამა დროით მოვიძიეთ, რაგბის ქომაგებს „ხუთი ერის“ რეპორტაჟების თარიღი და დრო სწორად ვაცნობეთ და გულშემატკივარ შუამავალთა ხელით მთელი თვის განრიგი მივაწოდეთ ტელე-კომპანიას. ისინიც ჩვეული გულისყურით მოეკიდნენ საქმეს, თეფში სათანადო თანამგზავრისკენ მიმართეს, ტიუნერი საჭირო სიხშირეზე დააყენეს და აბონენტებისთვის რაგბის მისაწოდებლად გაემზადნენ, მაგრამ რა — თვით რაგბი არსად იყო.

დიახ, „სტარ ტი-ვიმ“ გუშინწინ უმაგალითო მკრეხელობა ჩაიდინა. ეს არხი აქამდე პროგრამას ყოველთვის ზედმიწევნით იცავდა, ამჯერად კი მთელი აზიის მაყურებლებს გააწბილებდა. რა თქმა უნდა, იმათ გარდა, ვისაც კეთილშობილი კრიკეტი კეთილშობილსავე რაგბზე მეტად უყვარს.

„სტარ ტი-ვი“ ექს-ავსტრალიელი, აწ კი ლოს-ანჯელესელი ტელე-მაგნატი რუპერტ მერდოკის მედია-იმპერიის ერთი შტოა. მერდოკის „ნიუზ ლიმიტედი“ მთელ მსოფლიოში ეძებს და იბევებს სპორტულ საკბილოს, მერე თავად რომ მიაწოდოს მუშტარს. შარშანწინ ფულზე დახარბებულ ინგლისის რაგბის კავშირს სწორედ მერდოკის ხალხი მოურიგდა და ნაკრების საერთაშორისო მატჩების გადაცემის ექსკლუზიური უფლება გამოტყუა.

ინგლისურ რაგბს კელტ მეზობლებისაზე ბევრად დიდი საბაზრო ფასი აქვსო და მერდოკელებმა უელსი, ირლანდია და შოტლანდია გარიგებიდან მოტეხეს. მაშინ ესენი გაუნაწყენდნენ ოდინდელ პარტნიორს და „ხუთი ერიდან“ მოკვეთას დაექადნენ. ამან თავად ინგლისის რაგბის კავშირის მმართველ წრეში განხეთქილება გამოიწვია.

რაგბის პომ დიდ-ოღრაშთა შინაომი კვლავაც გრძელდება: უპირატესობა ხან ერთი ფრაქციის მხარესაა და ხან მეორისა. ტრადიციონალისტებმა ერთი პირობა რომ იძალეს, მერდოკთან დადებული ხელშეკრულება გადაასინჯინეს. ინგლისი ბრიტანულმა საძმომ ისევ შეიწყნარა და „ხუთ ერში“ დააბრუნა, მაგრამ ინტრიგები ამით არ დამთავრებულა. ამასობაში „ნიუზ ლიმიტედს“ მხოლოდ იმ მატჩების გადაცემის უფლება შერჩა, რომლებსაც ინგლისი შინ მართავს.

გუშინწინ ინგლისი სტუმრად, პარიზში თამაშობდა. ტურის მეორე მატჩში იგივე გუნდი, რა თქმა უნდა, არ მონაწილეობდა. წესითა და რიგით, „სტარ ტი-ვის“ ვერც ერთი მატჩი უნდა გადმოეცა და ვერც მეორე, მაგრამ პროგრამაში მაინც ორივე შეიტანა. ეტყობა, მერდოკის ხალხი ამ რეპორტაჟების გამოსყიდვას ფიქრობდა.

რაც აქამდე წაიკითხეთ, წყალი არ გაუვა. მერე რაც მოხდა, მასზე ოდენ ვარაუდის დონეზე შეგვიძლია მსჯელობა.

ეტყობა, კონკურენტი ტელე-სისტემების გარიგება ვერ მოხერხდა, რაშიც ინგლისის რაგბის კავშირში დაწყებულ ძალთა გადანაწილებასაც უნდა დაედო წილი. აკი ლონდონის „ტაიმსი“ წერდა, რაგბის მამათა სიმსუნაგისა და პირუმტკიცობის გამო გულშემატკივარმა რატომ უნდა იზარალოსო. ჩვენს ქალაქში გუშინ იმასაც კი გაიგონებდით, „სტარ“-ის ბრიტანულმა ანალოგმა „სკაი“-მ მიმოხილვაში რაგბისა ოდენ ანგარიშები დაწერა ეკრანზე, კადრი კი არც უჩვენებიაო.

მოკლედ, საქმეს ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ „სტარ“-ით წელს „ხუთი ერის“ ორ თამაშსლა თუ ვიხილავთ. სამაგიეროდ, რაგბის ქომაგებს ზაფხულში ფრიადი ლხენა მიეცემათ. მადლობა ღმერთს, მერდოკს არავინ ედავება და ეზიარება სამხრეთი ნახევარსფეროს „სამეულის სერიალის“ ტელემაყურებლამდე მიტანაში.

მშენებლობა დიზაინი რეკლამა
აკაცია Acacia
ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები
ფასები გაგაკვირვებთ
ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840
e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიბრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29